20. Shailendra K Singh, Rina Singh, et al; Uric acid and diabetes mellitus: an update; Postgraduate Medical Journal, 2023 Dec; 99(1178):1220–1225, <https://doi.org/10.1093/postmj/qgad081>
21. Zhilei Sh., Hangfei Ma, et al, Diabetis Care, v. 38, pp 529-537, March, 2015.
22. Harvard Medical School, Analyses of the Nurses' Health Study Data (1976, 1989 and 2010)
23. The Journal of Clinical Endocrinology & Metabolism, 2014
24. <https://www.mayoclinic.org/diseases-conditions/type-1-diabetes/symptoms-causes/syc-20353011>
25. Risk Factors for Type 1 Diabetes; Lars C. Stene, Jill M. Norris, Marian J. Rewers; Diabetes in America; National Library of Medicine, 2023
26. Francesco Chiarelli, Cosimo Giannini, and Marina Primavera; JSPE International Prize Prediction and prevention of type 1 diabetes in children Clin. Pediatr. Endocrinol., 2019; 28(3), 43–57.
27. Endocrine Disruptors, National Institute of Environmental Health Sciences, <https://www.niehs.nih.gov/health/topics/agents/endocrine>
28. Global, regional, and national burden of diabetes from 1990 to 2021, with projections of prevalence to 2050: a systematic analysis for the Global Burden of Disease Study 2021; Lancet 2023; 402: 203–34.
29. 19 July 2023, Parliament, the House of Lords Commission Report

30. According to data from the UK Health Security Agency (UKHSA); EEA 2020 report on Healthy environment, healthy lives: how the environment influences health and well-being in Europe
31. Laura Montefusco, Moufida Ben Nasr, Paolo Fiorina, et al., Acute and long-term disruption of glycometabolic control after SARS-CoV-2 infection; Nature Metabolism, v. 3, pp. 774–785, 2021
32. Hanne Løvdal Gulseth, German Tapia, et al, Norwegian Institute of Public Health, Oslo, Norway, EASD-2022, Stockholm, Sweden

RAMAZ KURASHVILI^{1,2}, *ELENA SHELESTOVA*^{1,3}
**THE ROLE OF TRADITIONAL AND EMERGING RISK FACTORS
 IN THE DEVELOPMENT OF DIABETES MELLITUS**

¹ National Center for Diabetes Research; ²European University;

³ Georgian National University SEU; Tbilisi, Georgia

SUMMARY

Diabetes mellitus (DM) is a chronic condition characterized by hyperglycemia. Total number of people with DM globally is already 537 million and is on the rise. DM is classified into 3 main types: type 1, type 2 and gestational diabetes. There are modifiable and non-modifiable risk factors that underline NCDs including DM. Elimination of modifiable risk factors may delay or even prevent development of type 2 and gestational DM. Though today it is not possible to prevent type 1 DM. Knowing type 1 DM risk factors we can identify at risk population and prevent severe conditions, diabetes ketoacidosis and coma at the moment of diagnoses. The number of environmental and behavioral factors that elevate the risk of DM is increasing. Those two groups of factors induce negative changes in physiological factors, that in turn cause DM and other NCDs development. Interventions aimed at the reduction of modifiable risk factors may reduce the tide of all NCDs and firstly DM

Keywords: diabetes mellitus, type 1/type 2, gestational, risk factors, development, prevention



ნუნუ პერტია^{1,2}, *ნათია ბურჯანაძე*²

შარდის ბუშტის პირველადი მუცინოზური ადენოკარცინომა - კტ და მრტ დიაგნოსტიკა

¹უროლოგიის ეროვნული ცენტრი; ²ქირურგიის ეროვნული ცენტრი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.05.07>

NUNU PERTIA^{1,2}, *NATIA BURJANADZE*²

**PRIMARY MUCINOUS ADENOCARCINOMA OF THE URINARY BLADDER – CT AND MRI
 (CASE REPORT)**

¹National Center of Urology; ²National Center of Surgery

SUMMARY

Primary adenocarcinoma of the urinary bladder is a relatively rare neoplasia, accounting for 0.5–2% of primary bladder malignancies. One of the subgroups of primary adenocarcinoma is the mucinous type, which, according to various data, accounts for only one fifth of primary adenocarcinomas of the urinary bladder.

In the presented clinical case, the patient is a 69-year-old man, intra- and paravesicular tissue growth was detected on ultrasound examination. For the purpose of detailed assessment of the mentioned formation, the patient underwent magnetic resonance imaging. Transurethral resection of the tumor was

performed on the patient. The diagnosis of primary mucinous adenocarcinoma of the urinary bladder was confirmed by the morphological and immunohistochemical study of the obtained material. A course of neoadjuvant chemotherapy was planned. Computed tomography was performed before treatment. At this stage, a course of chemotherapy is in progress and a radical cystectomy is planned.

Keywords: adenocarcinoma, bladder, mucinous, CT, MRI

შესავალი. შარდის ბუშტის პირველადი ადენოკარცინომა არის საკმაოდ იშვიათი ნეოპლაზია, რომელიც შეადგენს შარდის ბუშტის პირველადი ავთვისებიანი წარმონაქმნების 0.5-2%-ს [1]. პირველადი ადენოკარცინომის ქვეჯგუფებს შორის ერთ-ერთია მუცინოზური ტიპი, რომელიც სხვადასხვა მონაცემებით შარდის ბუშტის პირველადი ადენოკარცინომების მხოლოდ ერთ მეხუთედს შეადგენს [2]. აღნიშნული ჰისტოლოგიური ქვეჯგუფი ხასიათდება აგრესიული, ინტრამურული ზრდით, რის გამოც ხშირად ვერ დიაგნოსტირდება ადრეულ ეტაპზე და შესაბამისად ასოცირებულია ცუდ პროგნოზთან. სამეცნიერო ლიტერატურაში პირველადი მუცინოზური ადენოკარცინომის კლინიკური შემთხვევები იშვიათად არის აღწერილი.

კლინიკური შემთხვევა. წარმოდგენილ კლინიკურ შემთხვევაში პაციენტი არის 69 წლის მამაკაცი, რომელიც არ აღნიშნავს ქრონიკული დაავადებების არსებობას, არ არის მწვეფელი, მიმართა კლინიკას ჰემატურიის გამო და დაენიშნა შესაბამისი კვლევები.

ულტრაბგერით კვლევაზე გამოვლინდა ქსოვილოვანი წარმონაქმნი ინტრა და პარავეზიკულურად. აღნიშნული წარმონაქმნის დეტალური შეფასების მიზნით პაციენტს ჩაუტარდა მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია.

პაციენტს ჩაუტარდა წარმონაქმნის ტრანსურეტრული რეზექცია. მიღებული მასალის მორფოლოგიური და იმუნოჰისტოქიმიური კვლევით დადასტურდა შარდის ბუშტის პირველადი მუცინოზური ადენოკარცინომის დიაგნოზი.

დაიგეგმა ნეოადიუვანტური ქიმიოთერაპიის კურსი. მკურნალობის დანწყებამდე ჩატარდა კომპიუტერული ტომოგრაფია.

ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს ქიმიოთერაპიის კურსი და იგეგმება რადიკალური ცისტექტომია.



A,B - T2 შეწონილი გამოსახულება საგიტალურ და აქსიალურ ჭრილებში. ვლინდება მულტილოკულური მოცულობითი წარმონაქმნი შარდის ბუშტის დისტალური ნაწილის დონეზე, დორსოლატერალურად მარჯვნივ დაახლოებითი მას. ზომებით: 4,6/4,0/4,6სმ. სტრუქტურა ჰიპერინტენსიურია, თუმცა ვლინდება ჰიპოინტენსიური ხარიების არსებობა. ნაწილობრივ ვრცელდება შარდის ბუშტის ღრუში, ასევე ახდენს ზეწოლას წინმდებარე ჯირკვალზე, ზემო კიდე კი ფიქსირდება ორიფიციუმის დონეზე.

C – T1 შეწონილი პოსტკონტრასტული გამოსახულება ცხიმის დათრგუნვით. აღწერილ მოცულობით წარმონაქმნი ი/ვ საკონტრასტო ნივთიერების ჩართვა ხდება კედლებისა და ხარიების ხარჯზე.



A - კომპიუტერული ტომოგრაფიის გამოსახულება ნატიურ რეჟიმში. B - არტერიული ფაზა. C - გამოყოფის ფაზა.
 შარდის ბუშტის დისტალური ნაწილის დონეზე, დორსოლატერალურად მარჯვნივ, უპირატესად პარავეზიკულურად ვიზუალიზდება მულტილოკულური, სტრუქტურაში კალციფიცირებული ხარისხების მქონე მოცულობითი წარმონაქმნი, დაახლოებითი მაქს. განივი ზომებით: 3,4/3,7სმ. ყელის დონეზე მცირედ ვრცელდება ენდოვეზიკულურად.

დისკუსია. მსოფლიოს მასშტაბით, მამაკაცებში ყველაზე ხშირად დიაგნოსტირებულ პირველად სიმსივნეებს შორის შარდის ბუშტის სიმსივნეები მეშვიდე ადგილს იკავებს [3], საქართველოში კი - 2021 წლის მონაცემებით - მესამე ადგილს [4]. შარდის ბუშტის პირველად სიმსივნეებს შორის აბსოლუტური უმრავლესობა, 90%-ზე მეტი არის უროთელური კარცინომა (გარდამავალ უჯრედული კარცინომა) [5]. ამის საპირისპიროდ, შარდის ბუშტის ჭეშმარიტი პირველადი ადენოკარცინომა არის საკმაოდ იშვიათი. მის უჯრედულ სუბსტრატს წარმოადგენს ჰისტოლოგიურად ჭეშმარიტი ჯირკვლოვანი დიფერენციაციის მქონე უჯრედები. მას თავის მხრივ გამოეყოფა ორი ქვე-ჯგუფი, ნაწლავური და არა-ნაწლავური ფორმა. მუცინური ფორმა არა-ინტესტინურ ფორმას მიეკუთვნება და ჰისტოლოგიურად ხასიათდება დიდი რაოდენობით ექსტრაუჯრედული მუცინის არსებობით სიმსივნურ უჯრედებთან ერთად. იმისათვის, რომ სიმსივნის მორფოლოგიური დიაგნოსტიკა მოხდეს, როგორც პირველადი მუცინური ადენოკარცინომა, ასეთი ქსოვილი უნდა შეადგენდეს სიმსივნური მასის მინიმუმ ნახევარს.

არსებობს მოსაზრება უროთელური უჯრედების პლურიპოტენტურობასთან დაკავშირებით, რაც ასოცირებულია მრავალფეროვანი მორფოლოგიური ფენოტიპის მქონე ავთვისებიანი პროცესების განვითარებასთან [6]. შარდის ბუშტის პირველადი ადენოკარცინომის როგორც კლინიკურ-რადიოლოგიური, ასევე მორფოლოგიური დიაგნოსტიკა საკმაოდ რთულია. მისი დიფერენციალური დიაგნოსტიკა უნდა მოხდეს შარდის ბუშტის უროთელურ კარცინომასთან და მეტასტაზურ დაზიანებასთან. ეს უკანასკნელი უფრო დიდ სირთულესთან არის ასოცირებული, ვინაიდან კოლორექტალურ პირველად ადენოკარცინომასა და ინტესტინური ფორმის შარდის ბუშტის პირველად ადენოკარცინომას შორის მნიშვნელოვანი გადაფარვა არსებობს მორფოლოგიურ და იმუნოჰისტოქიმიურ დონეზე [7]. არსებობს ჰიპოთეზა, რომ უროთელიუმის ნაწლავური მეტაპლაზია წარმოადგენს პირველადი ადენოკარცინომის განვითარების პრეკურსორს [6]. თუმცა, დღემდე არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება ამ მოსაზრების სასარგებლოდ.

შარდის ბუშტის პირველადი სიმსივნის მქონე პაციენტებში ხშირად ვლინდება მხოლოდ არასპეციფიკური სიმპტომები, როგორცაა ჰემატურია, დიზურია, ტკივილი/დისკომფორტი

ბოქვენზედა მიდამოში. ცისტოსკოპიასთან ერთად რადიოლოგიურ კვლევებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნეოპლაზიის იდენტიფიცირებისა და გავრცელების შეფასებისათვის. მუცინოზური ადენოკარცინომა ხასიათდება აგრესიული, ინტრამურული ზრდით და მეტასტაზირებით. მკურნალობის ყველაზე ეფექტურ მეთოდად ითვლება რადიკალური ცისტექტომია, თუმცა ასევე განიხილება ნეოადიუვანტური რადიაციული თერაპიის სარგებელი გრძელვადიანი გამოსავლის გაუმჯობესებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kantor AF, Hartge P, Hoover RN, Fraumeni JF Jr. Epidemiological characteristics of squamous cell carcinoma and adenocarcinoma of the bladder. *Cancer Res* 1988;48(13):3853–3855. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/3378221>
2. <https://jurolsurgery.org/archives/archive-detail/article-preview/adenocarcinoma-of-the-urinary-bladder/201153>
3. <https://www.ncdc.ge/#/pages/file/ea1784b5-d3d0-4dd9-b29f-1369f5d6bbec>
4. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/3378221/>
5. https://pubs.rsna.org/doi/10.1148/rg.220034?_gl=1*1cn47hn*_ga*NTIxODM4NDY3LjE2MTE5MDgyNjk.*_ga_EQ32SZ84M3*MTcxMDMxMjk0OC4xOTUuMS4xNzEwMzEyOTUxLjU3LjAuMA..
6. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/11684954/>
7. <https://d56bochluxqnz.cloudfront.net/documents/full-guideline/EAU-Guidelines-on-Muscle-Invasive-and-Metastatic-Bladder-Cancer-2024.pdf>

ნუნუ პერტია ^{1,2}, ნათია ბურჯანაძე ²

შარდის ბუშტის პირველადი მუცინოზური ადენოკარცინომა - კტ და მრტ დიაგნოსტიკა

¹უროლოგიის ეროვნული ცენტრი; ²ქირურგიის ეროვნული ცენტრი

რეზიუმე

შარდის ბუშტის პირველადი ადენოკარცინომა არის საკმაოდ იშვიათი ნეოპლაზია, რომელიც შეადგენს შარდის ბუშტის პირველადი ავთვისებიანი წარმონაქმნების 0.5-2%-ს. პირველადი ადენოკარცინომის ქვეჯგუფებს შორის ერთ-ერთია მუცინოზური ტიპი, რომელიც სხვადასხვა მონაცემებით შარდის ბუშტის პირველადი ადენოკარცინომების მხოლოდ ერთ მეხუთედს შეადგენს.

წარმოდგენილ კლინიკურ შემთხვევაში პაციენტი არის 69 წლის მამაკაცი, ულტრაბგერით კვლევაზე გამოვლინდა ქსოვილოვანი წარმონაქმნი ინტრა და პარავეზიკულურად. აღნიშნული წარმონაქმნის დეტალური შეფასების მიზნით პაციენტს ჩაუტარდა მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია. პაციენტს ჩაუტარდა წარმონაქმნის ტრანსურეთრული რეზექცია. მიღებული მასალის მორფოლოგიური და იმუნოჰისტოქიმიური კვლევით დადასტურდა შარდის ბუშტის პირველადი მუცინოზური ადენოკარცინომის დიაგნოზი.

დაიგვმა ნეოადიუვანტური ქიმიოთერაპიის კურსი. მკურნალობის დაწყებამდე ჩატარდა კომპიუტერული ტომოგრაფია. ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს ქიმიოთერაპიის კურსი და იგეგმება რადიკალური ცისტექტომია.



GIORGI TCHOLADZE¹, IA PANTSULAIA¹, LEVAN RATIANI¹, TINATIN CHIKOVANI¹,
AVTANDIL JORBENADZE², TAMAR BOLOTASHVILI²

THE ROLE OF INFLAMMATORY INDICES IN PREDICTING THE SEVERITY OF COVID-19

¹ Tbilisi State Medical University; ² Chapidze Cardiac Center Tbilisi, Georgia

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.05.08>

გიორგი ჭოლაძე¹, ია ფანცულაია¹, ლევან რატიანი¹, თინათინ ჩიკოვანი¹,
ავთანდილ ჯორბენაძე², თამარ ბოლოთაშვილი²

ანთებითი ინდექსების როლი COVID-19 სიმწვავის პროგნოზირებისთვის

¹ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;

² ჩაფიძის კარდიოლოგიური ცენტრი თბილისი, საქართველო

რეზიუმე

COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ, რომელიც გამოწვეულია ახალი კორონავირუსით SARS-CoV-2-ით, ჯანმთელობის უპრეცედენტო დაზიანება და მრავალფეროვანი გართულებები გამოიწვია. COVID-19-ის მართვაში მნიშვნელოვანი დაბრკოლება დაავადების გამოვლინებისა და პროგნოზირების სწრაფი ცვალებადობა და კომპლექსურობა აღმოჩნდა. ცნობილია, რომ ანთებითი მარკერების (NLR - ნეიტროფილებისა და ლიმფოციტების თანაფარდობა, PLR - თრომბოციტებისა და ლიმფოციტების თანაფარდობა, SII - სისტემური ანთების ინდექსი), დამატებით და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა დაავადების (ვიბო, ინფექციური და აუტოიმუნური დარღვევები) სიმძიმის, მათ შორის კოვიდ-19-ის პროგნოზირებაში. წინამდებარე რეტროსპექტიული კვლევის მიზანი სწორედ ლაბორატორიულად დადასტურებულ 100 კოვიდ-19-ის მქონე პაციენტის ანთებითი მარკერებისა და დაავადების კლინიკური მიმდინარეობის კავშირის შესწავლა გახლდათ საქართველოს პოპულაციაში. პაციენტები დაყოფილ იქნა მსუბუქ, საშუალო და მძიმე კატეგორიებად, კლინიკურ-ლაბორატორიული პარამეტრებისა და CT ქულის საფუძველზე. ანთებითი მარკერები (NLR, PLR, SII), სხვა ბიომარკერებთან ერთად, გაზომილი და გაანალიზებული იყო სტატისტიკური მეთოდებით. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ C რეაქტიული ცილა, ფერითინი და ლეიკოციტების რაოდენობა სტატისტიკურად სარწმუნოდ მატულობს მძიმე მიმდინარეობისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სხვაობა დაფიქსირდა NLR, SII მაჩვენებლებში სხვადასხვა სიმძიმის კლინიკური მიმდინარეობისას ($p < 0.01$). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ NLR, PLR და SII COVID-19-ის სიმძიმის მნიშვნელოვანი პრედიქტორია და სრულად ასახავს სისტემური ანთებითი პასუხის მასშტაბებს. ამდენად, ამ მარკერების გამოყენება კლინიკურ პრაქტიკაში კლინიკურად პაციენტების დამძიმების მქონე ჯგუფების გამოყოფის საშუალებას მოგვცემს, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს პაციენტების ადეკვატურ მკურნალობას და გააუმჯობესებს დაავადების გამოსავალს.

Introduction. The COVID-19 pandemic, caused by SARS-CoV-2, has posed significant health challenges worldwide. One major difficulty in managing COVID-19 is the unpredictable nature of the disease's progression and presentation. This has created an urgent need for reliable methods to predict patient outcomes. Inflammatory markers such as the neutrophil-to-lymphocyte ratio (NLR), platelet-to-lymphocyte ratio (PLR), and systemic inflammation index (SII) have been identified as valuable tools in predicting the severity of various diseases, including COVID-19.

Previous studies have demonstrated that these markers can reflect the systemic inflammatory response, which is crucial in viral infections. This study aims to investigate the relationship between these indices and the severity of COVID-19, thereby establishing their potential use in clinical practice.

Since the emergence of SARS-CoV-2, it has been known to trigger a significant inflammatory response, resulting in severe respiratory and systemic complications in some patients. Indices like NLR and PLR have been studied in other respiratory illnesses, such as influenza, where they correlate with disease severity and mortality. NLR is a recognized marker of systemic inflammation associated with poor outcomes in conditions like cardiovascular diseases and cancer.

PLR is another marker for assessing disease severity and prognosis, particularly in cancer. High PLR levels often indicate an inflammatory response linked to worse outcomes in infectious diseases. SII, calculated from platelet, neutrophil, and lymphocyte counts, offers a comprehensive view of the body's inflammatory state. Although its role in infectious diseases is still under investigation, preliminary studies suggest its utility in predicting infection severity.

COVID-19's immune response involves a significant inflammatory phase, leading to severe complications like acute respiratory distress syndrome (ARDS) and multi-organ failure. Cytokine storms and systemic inflammation drive this response. Various studies have highlighted the importance of systemic inflammatory markers in infectious diseases, including sepsis, cancer, and cardiovascular diseases. In the context of COVID-19, NLR, PLR, and SII may reflect the intensity of the systemic inflammatory response, which correlates with disease severity.

Material and methods. The study was conducted at the Emergency Cardiology Center named after Academician G. Chapidze from 2021 to 2022. Inclusion criteria were patients with cardiovascular disease who had laboratory-confirmed COVID-19 and were hospitalized.

The study included 100 COVID-19 patients with varying severities. Severe cases were identified by symptoms such as dyspnea, respiratory rate >25 breaths per minute, oxygen saturation <92% on room air at rest, or a CT score of 12 or greater (indicating >50% lung damage). A comprehensive panel of laboratory tests was performed, including measurements of blood glucose, alanine aminotransferase, aspartate aminotransferase, creatinine, lactate dehydrogenase, prothrombin time, prothrombin index, international normalized ratio, activated partial thromboplastin time, fibrinogen concentration, D-dimer, troponin, C-reactive protein, procalcitonin, and ferritin. Electrolytes were also determined. SARS-CoV-2 detection was conducted using PCR from throat and nose swabs.

Statistical analysis. Results were analyzed using modern statistical software. The analysis included calculating averages and standard deviations of studied parameters. Patients were categorized by gender and age into mild, moderate, and severe groups based on symptom severity and CT scores. The critical indices calculated were NLR, PLR, ENR, and SII. Logistic regression was used to determine the association between inflammatory indices and disease severity, while ANOVA compared means among different severity groups.

Results:

Demographics and Baseline Characteristics. The study included 100 patients diagnosed with COVID-19, divided into three groups: mild (n=60), moderate (n=19), and severe (n=21) cases based on clinical symptoms and CT scores.


Table 1. Demographics and Baseline Characteristics

	Frequency	Mean	Std. Deviation	Minimum	Maximum
age	19	70.54	12.38	42	93
	60	52.62	18.64	18	82
	21	74.33	12.86	52	91
Hospitalization	19	9.05	3.2	1	16
	60	6.91	2.73	3	19
	21	18.08	9.18	7	32

	Frequency	Mean	Std. Deviation	Minimum	Maximum
CT score	19	10.1	3.76	3	21
	60	5.38	2.19	1	15
	21	13.67	3.65	9	20
procalcitonin	19	0.13	0.15	0.03	1
	60	0.12	0.16	0.03	1
	21	0.13	0.06	0.03	0.2
Fever	19	37.76	0.91	37	40
	60	37.36	0.48	37	38
	21	38	0.95	37	39
saturation	19	92.43	4.34	80	98
	60	93.21	3.54	87	98
	21	88.08	5.37	80	96
Creatinine	19	36.71	79.88	0.5	315
	60	1.07	0.4	0.54	2.02
	21	1.46	1.1	0.76	4.78
ALT	19	28.28	20.59	0.5	98
	60	1357.67	7734.4	7.3	45130
	21	145.08	443.46	0.5	1553
AST	19	29.05	12.9	0.8	56
	60	1351.95	7703.06	11.1	44947
	21	128.14	372.02	0.9	1309
Dimer	19	0.91	0.96	0.14	5.16
	60	0.52	0.46	0.12	2.33
	21	1.17	1.22	0.3	4.8
troponin	19	0.05	0.09	0	0.5
	60	0.05	0.06	0	0.14
	21	0.1	0.12	0	0.38


Multiple rounds of testing for inflammatory indices and other biomarkers revealed significant findings across different severity groups. CRP levels were consistently higher in severe cases across three measurement points (CRP1, CRP2, CRP3, $p < 0.01$, Figure 1)

Figure 1. CRP Levels Across COVID-19 Severity



Ferritin levels varied significantly, dramatically higher in severe cases ($p < 0.001$). The substantial increase in FERIT3 among severe patients suggests a correlation with heightened inflammatory responses. Total leukocyte counts (Leucocyt1, Leuco2, Leuco3) were notably higher in severe cases, with Leucocyt1 showing statistically solid significance ($p < 0.001$). Lymphocyte counts remained stable across groups, while neutrophil counts (Neutro1, Neutro2, Neutro3) and the Neutrophil-to-Lymphocyte Ratio (NLR) were higher in severe cases, indicating more pronounced inflammatory responses (NLR1: $p < 0.05$, NLR2: $p < 0.01$). Platelet counts (Plat1, Plat2, Plat3) did not significantly differ across severity groups.

Figure 2. Comparison of Systemic Inflammatory Indices (SII1, SII2, SII3) Across COVID-19 Severity Levels



The systemic inflammatory index (SII) values varied significantly across groups, especially between initial and subsequent measurements (SII1: $p < 0.0001$, SII2: $p < 0.001$). Fig.2 Saturation levels were significantly lower in severe cases at initial (saturation1: $p < 0.01$) and final stages (Satur3: $p = 0.01$), suggesting declining pulmonary function correlating with disease severity. Other markers such as LDH, creatinine, ALT, and AST showed no significant correlation with COVID-19 severity.

Discussion. Elevated NLR in severe cases supports the hypothesis that a higher neutrophil count relative to lymphocytes indicates systemic inflammation and immune system dysregulation. This

dysregulation can exacerbate cytokine storms, which are critical in severe disease states. NLR serves as a simple yet effective biomarker for inflammation.

Consistent and significant CRP levels across various measurement points reinforce its role as an acute-phase reactant. Elevated CRP levels indicate acute inflammatory responses, strongly correlating with COVID-19 severity and potential complications.

These findings have several implications. Integrating these inflammatory indices into routine clinical assessments can significantly enhance the predictive accuracy of COVID-19 severity. This allows healthcare providers to stratify patients based on their risk of severe complications, optimizing resource allocation and improving patient outcomes through targeted therapeutic strategies.

For instance, patients with high SII or NLR could receive more aggressive monitoring and treatment, including early anti-inflammatory therapies or enrollment in clinical trials for novel treatments. Recognizing patterns in CRP elevations can help manage complications before they escalate.

Despite promising results, this study has limitations due to its retrospective nature and limited sample size, which may affect generalizability. The single-center design may not fully capture variability in clinical practices or patient populations. Future research should validate these findings in more extensive multicenter studies with diverse populations to enhance external validity. Prospective studies could provide more insights into these inflammatory indices' dynamics and their causal relationships with COVID-19 outcomes. Investigating the mechanistic pathways through which these indices correlate with the inflammatory response to COVID-19 could reveal new therapeutic targets. Understanding these markers' biological basis may lead to developing more predictive novel biomarkers for disease severity.

Conclusion. This study highlights the significant prognostic value of inflammatory indices, especially SII, in predicting COVID-19 severity. Regular use of these indices in clinical settings provides a practical approach to categorizing patient risk and enhances disease management. By identifying high-risk patients early, clinicians can tailor interventions more effectively, potentially reducing COVID-19's impact on patients and healthcare systems. Healthcare systems should consider the broader incorporation of these biomarkers in clinical assessments. Predictive tools like these will be crucial in combating the disease and improving patient outcomes as the pandemic evolves.

References:

1. Chan, J. F. W., Yuan, S., Kok, K. H., To, K. K. W., et al. (2020). A familial cluster of pneumonia associated with the 2019 novel coronavirus indicating person-to-person transmission: a study of a family cluster. *The Lancet*, 395(10223), 514-523.
2. Cakirca, G., Cakirca, T. D., Bindal, A., & Olcen, M. (2023). Inflammation-based Indices Predicting Mortality in COVID-19. *J Coll Physicians Surg Pak*, 33(1), 112-114.
3. Citu, C., Gorun, F., Motoc, A., Sas, I., Gorun, O. M., Burlea, B., Tuta-Sas, I., Tomescu, L., Neamtu, R., Malita, D., & Citu, I. M. (2022). The Predictive Role of NLR, d-NLR, MLR, and SIRI in COVID-19 Mortality. *Diagnostics (Basel)*, 12(1), 122.
4. Ghobadi, H., Mohammadshahi, J., Javaheri, N., Fouladi, N., Mirzazadeh, Y., & Aslani, M. R. (2022). Role of leukocytes and systemic inflammation indexes (NLR, PLR, MLP, dNLR, NLPR, AISI, SIR-I, and SII) on admission predicts in-hospital mortality in non-elderly and elderly COVID-19 patients. *Front Med (Lausanne)*, 9, 916453.
5. Gutiérrez-Pérez, I. A., Buendía-Roldán, I., Pérez-Rubio, G., Chávez-Galán, L., Hernández-Zenteno, R. J., Aguilar-Duran, H., Fricke-Galindo, I., Zaragoza-García, O., Falfán-Valencia, R., & Guzmán-Guzmán, I. P. (2022). Outcome predictors in COVID-19: An analysis of emergent systemic inflammation indices in Mexican population. *Front Med (Lausanne)*, 9, 1000147.
6. Huang, C., Wang, Y., Li, X., Ren, L., Zhao, J., Hu, Y., ... & Cao, B. (2020). Clinical features of patients infected with 2019 novel coronavirus in Wuhan, China. *The Lancet*, 395(10223), 497-506.

7. Karimi, A., Shobeiri, P., Kulasinghe, A., & Rezaei, N. (2021). Novel Systemic Inflammation Markers to Predict COVID-19 Prognosis. *Front Immunol*, 12, 741061.
8. Lagunas-Rangel, F. A. (2020). Neutrophil-to-lymphocyte ratio and lymphocyte-to-C-reactive protein ratio in patients with severe coronavirus disease 2019 (COVID-19): A meta-analysis. *Journal of Medical Virology*, 92(10), 1733-1734.
9. Liu, J., Liu, Y., Xiang, P., Pu, L., Xiong, H., Li, C., ... & Ge, J. (2020). Neutrophil-to-lymphocyte ratio predicts severe illness patients with 2019 novel coronavirus in the early stage. *Journal of Translational Medicine*, 18(1), 1-12.
10. McGonagle, D., Sharif, K., O'Regan, A., & Bridgewood, C. (2020). The role of cytokines including interleukin-6 in COVID-19 induced pneumonia and macrophage activation syndrome-like disease. *Autoimmunity Reviews*, 19(6), 102537.
11. Sayed, A. A. (2024). Assessing the Diagnostic Values of the Neutrophil-to-Lymphocyte Ratio (NLR) and Systematic Inflammatory Index (SII) as Biomarkers in Predicting COVID-19 Severity: A Multicentre Comparative Study. *Medicina (Kaunas)*, 60(4), 602.
12. Wang, D., Hu, B., Hu, C., Zhu, F., Liu, X., Zhang, J et al. (2020). Clinical characteristics of 138 hospitalized patients with 2019 novel coronavirus-infected pneumonia in Wuhan, China. *JAMA*, 323(11), 1061-1069.
13. Yılmaz, A., Taşkın, Ö., Demir, U., & Soylu, V. G. (2023). Predictive Role of Biomarkers in COVID-19 Mortality. *Cureus*, 15(1), e34173.
14. Zhou, F., Yu, T., Du, R., Fan, G., Liu, Y., Liu, Z. et al. (2020). Clinical course and risk factors for mortality of adult inpatients with COVID-19 in Wuhan, China: a retrospective cohort study. *The Lancet*, 395(10229), 1054-1062.

*GIORGI TCHOLADZE*¹, *IA PANTSULAIA*¹, *LEVAN RATIANI*¹, *TINATIN CHIKOVANI*¹,
*AVTANDIL JORBENADZE*², *TAMAR BOLOTASHVILI*²

THE ROLE OF INFLAMMATORY INDICES IN PREDICTING THE SEVERITY OF COVID-19

¹ Tbilisi State Medical University; ² Chapidze Cardiac Center Tbilisi, Georgia

SUMMARY

The global pandemic of COVID-19, caused by the novel coronavirus SARS-CoV-2, has resulted in unprecedented health challenges. A significant obstacle in managing COVID-19 is the variability in disease presentation and progression, necessitating the development of reliable methods to predict patient outcomes. It is supposed that inflammatory markers (NL - neutrophil and lymphocyte ratio, PLR - thrombocyte and lymphocyte ratio, SII - systemic inflammation index) can be used to predict different types of disorders (cancer, infectious and autoimmune diseases). The present retrospective study aimed to reveal the relationship between inflammatory markers and the onset and prognosis of disease. Patients (100 hospitalized and PCR-confirmed) were divided into mild, moderate, and severe categories based on control-laboratory parameters and CT scores. Inflammatory markers (NLR, PLR, SII), along with other biomarkers, were measured and analyzed by statistical methods. As a result of the analysis, it was revealed that C-reactive protein, ferritin, and the number of leukocytes statistically significantly increased during the course. The outcomes show that NLR, PLR, and SII are significant predictors of the severity of COVID-19 and fully reflect the systemic inflammatory response ($p < 0.01$). Thus, their integration (NLR < PLR < SII) into clinical practice can enhance risk stratification and inform therapeutic decisions, ultimately improving patient outcomes.

Keywords: COVID-19, SARS-CoV-2, neutrophil, lymphocyte, platelet, ratio, SII



დავით გრიგოლია, კახა მოსიძე, გელა მერაბიშვილი, ნანა კიკალიშვილი, რუსუდან ბერიაშვილი
კანის ჰისტომორფოლოგიური ცვლილებები ელექტროტრავმის დროს
ოსსუ სასამართლო მედიცინის დეპარტამენტი; ოსსუ პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტი;
საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.05.09>

DAVID GRIGOLIA, KAKHA MOSIDZE, GELA MERABISHVILI, NANA KIKALISHVILI,
RUSUDAN BERIASHVILI

HISTOMORPHOLOGICAL CHANGES OF THE SKIN AFTER ELECTRIC INJURY

TSMU Department of Forensic Medicine; TSMU Department of Abnormal Anatomy; Georgia

SUMMARY

Electrocution injury is often non-specific and making a correct diagnosis is associated with significant difficulties, especially when the electric lesion does not develop on the skin or develops in an uncharacteristic manner. In order to make a correct diagnosis, it is necessary to use modern research methods. Experimental study was conducted on rats in the form of modeled electrotrauma. Based on the study results, it is possible to conclude that the following histomorphological characteristics can be considered as specific signs for the diagnosis of electric injury: focal coagulative necrosis of the epidermis, deformation of the dermis with the formation of specific, pit-like structures, focal coagulative necrosis of the dermis, in combination with characteristic signs such as: corneal erosion (86%), elliptical deformation of epitheliocyte nuclei of the epidermis (86%), deformation of nuclei skin appendages (hair follicles, sebaceous glands, sweat glands) (86%), deformation of nerve fibers (86%).

Keywords: skin, electric injury, histomorphology, changes

საკითხის აქტუალობა: ელექტროდენით დაზიანების დიაგნოსტიკა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია სასამართლო მედიცინაში. საკითხის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტი, რომ ელექტროდენით დაზიანება ხშირად არასპეციფიკურია და სწორი დიაგნოზის დასმა მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კანზე ელექტრონიზა არ ვითარდება ან ვითარდება არადაზიანებული ფორმით [1], რის გამოც დიაგნოზის სწორად დასასმელად საჭიროა კვლევის თანამედროვე ახალი მეთოდების გამოყენება [2] და კანში არსებული მიკროსკოპული ცვლილებების კომპლექსური შეფასება, ელექტროდენის მოქმედების დამახასიათებელი და სპეციფიკური ნიშნების გათვალისწინებით.

საკვლევი მასალა და მეთოდები: მორფოლოგიური ცვლილებების შესასწავლად ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტები ვირთაგვებზე მოდელირებული ელექტროტრავმის სახით. ექსპერიმენტების მოდელირებაზე თანხმობა მიღებულ იქნა ოსსუ-ს ეთიკური კომისიის მიერ. გამოსაკვლევად აღებულ იქნა ვისტარის ჯიშის 7 ზრდასრული ვირთაგვის მასალა, წინა თათები, რომლებზეც მოდებული იქნა სპილენძის ელექტროსადენები, რომელშიც გადიოდა ტექნიკური ელექტრული დენი (20-25 წამის განმავლობაში, 220ვ. 50-60 ჰერცი ცვლადი დენი). ელექტრონიზის მიდამოს კანის ანათლები შეღებილ იქნა ჰემატოქსილინ-ეოზინის მეთოდით. პრეპარატები შესწავლილ იქნა ტრანსმისიული სინათლური მიკროსკოპის ქვეშ. კვლევის დასკვნით ეტაპზე განხორციელდა მონაცემთა შეჯამება და სტატისტიკური ანალიზი. მიღებული რაოდენობრივი მონაცემები დამუშავებულ იქნა პირსონის და სპირმანის კორელაციებითა და X² ტესტის გამოყენებით, სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS V.23.0 პროგრამის საშუალებით. სტატისტიკურად სარწმუნოდ მიჩნეულ იქნა 95% სარწმუნოების ინტერვალი.

კვლევის შედეგები და ანალიზი: კვლევის შედეგად ელექტრონიზის მიდამოში გამოვლინდა შემდეგი ჰისტომორფოლოგიური ცვლილებები: ეპიდერმისის და დერმის კეროვანი კოაგულაციური ნეკროზი; ამ უბნებში ეპიდერმისის რქოვანა აპრეგებულია. ეპიდერმისი ჰქმნის სპეციფიკურ, წამოწეულ, დვრილისებრი შესახედაობის სტრუქტურებს; ეპიდერმისის უჯრედების


ბირთვები დეფორმული – დაგრძელებულია (ოვალური – ელიფსური ფორმის); დერმა წარმოდგენილია ჰომოგენური მოიისფრო მასების სახით; დერმის დვრილები სპეციფიურად შეცვლილია მარყუჟისებრი წარმონაქმნების ჩამოყალიბებით. თმის ბოლქვების ეპითელიური უჯრედების ბირთვები დეფორმული – დაგრძელებულია (ოვალური – ელიფსური ფორმის); მემაერთებელქსოვილოვანი სტრუქტურები მკვეთრად შეჭმუხნილია; დერმის ქვემდებარე კუნთოვანი ქსოვილები დანეკროზებულია; სისხლძარღვებში ერთროციტები შეკოლტებული-შეჭკუფებულია; დაზიანების უბნებში სისხლძარღვის კედლები შეჭმუხნილია. კოაგულაციის მოშორებით უბნებში სისხლძარღვები უცვლელია.

ცხრილი 1: კანის ჰისტომორფოლოგიური ცვლილებების ცხრილი


	მორფოლოგიური ნიშნები / შემთხვევის N	1	2	3	4	5	6	7
ა	რქოვანას აშრეგება	+	+	+	+	+		+
ბ	ერთროციტები აშრეგებულ სტრუქტურებში		+	+	+	+		
გ	ეპიდერმისის ეპითელიოციტების ბირთვების ელიფსური დეფორმაცია	+	+	+	+	+		+
დ	ეპიდერმისის კეროვანი კოაგულაციური ნეკროზი	+	+	+	+	+	+	+
ე	დერმის დვრილების დეფორმაცია სპეციფიური (დვრილისებრი ფორმის) სტრუქტურების ფორმირებით	+	+	+	+	+	+	+
ვ	დერმის კეროვანი კოაგულაციური ნეკროზი	+	+	+	+	+	+	+
ზ	კანის დანამატების (თმის ფოლიკულების, ქონის ჯირკვლების, საოფლე ჯირკვლების გამომტანი სადინრების) ბირთვების დეფორმაცია (წაგრძელებული და შეჭმუხნილი ფორმის ბირთვები)	+	+	+	+	+		+
თ	ნერვული ბოჭკოების დეფორმაცია (წაგრძელებული და შეჭმუხნილი ფორმის ბირთვები)		+	+	+	+	+	+
ი	დერმის სისხლძარღვთა ჰიპერემია, სტაზი, სლაჯი (სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის სურათი, ერთროციტების აგრეგაცია-შენეგება)	+					+	
კ	მიკროთრომბები დერმის სისხლძარღვებში			+	+			
ლ	ერთროდიპედეზი დერმაში		+					
მ	სისხლჩაქცევები დერმაში	+						
ნ	ღრმად მდებარე რბილი ქსოვილების (ცხიმოვან და კუნთოვან ქსოვილში) სტრუქტურების ბირთვების დეფორმაცია (წაგრძელებული ფორმის ბირთვები კედლების შეჭმუხნით)		+	+		+		
ო	ღრმად მდებარე რბილი ქსოვილების (ცხიმოვან და კუნთოვან ქსოვილში) სისხლძარღვთა ჰიპერემია, სტაზი, სლაჯი		+	+	+			+
პ	მიკროთრომბები ღრმად მდებარე რბილი ქსოვილების სისხლძარღვებში	+						
ჟ	ერთროდიპედეზი ღრმად მდებარე რბილ ქსოვილებში			+	+	+		+
რ	სისხლჩაქცევები ღრმად მდებარე რბილ ქსოვილებში		+					

ექსპერიმენტული ვირთავების კანის პრეპარატების ჰისტომორფოლოგიური კვლევისას ყველა შემთხვევაში გამოხატული იყო: ეპიდერმისის კეროვანი კოაგულაციური ნეკროზი (დ), დერმის დვრილების დეფორმაცია სპეციფიური (დვრილისებრი ფორმის) სტრუქტურების ფორმირებით (ე) და დერმის კეროვანი კოაგულაციური ნეკროზი (ვ). აღნიშნული მორფოლოგიური ნიშნები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ელექტროტრავმის სადიაგნოზოდ. ყველაზე ხშირად გამოხატული ჰისტოპათოლოგიური ნიშნები იყო: რქოვანას აშრეგება (ა), ეპიდერმისის ეპითელიოციტების ბირთვების ელიფსური დეფორმაცია (გ), კანის დანამატების (თმის ფოლიკულების, ქონის ჯირკვლების, საოფლე ჯირკვლების გამომტანი სადინრების) ბირთვების დეფორმაცია (წაგრძელებული და შეჭმუხნილი ფორმის ბირთვები) (ზ), ნერვული ბოჭკოების

დეფორმაცია (თ). მითითებული მორფოლოგიური ნიშნები, რომლებიც შემთხვევითა უმრავლესობაშია წარმოდგენილი, აგრეთვე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ელექტროტრაფმის დიაგნოზის დასასმელად.



დიაგრამა 1. კანის ჰისტომორფოლოგიური ცვლილებების პროცენტული განაწილება



სურ. 1: (ა – დ, ვ, ბ) – ეპიდერმისის და დერმის კოაგულაციური ნეკროზი ეპიდერმისის აშრევებით და ზედაპირზე ერითროციტების მასებით, HEX200; (ბ – დ, ვ) – ეპიდერმისის და დერმის კოაგულაციური ნეკროზი, HEX200; (ც – დ, ვ, ა) – ეპიდერმისის და დერმის კოაგულაციური ნეკროზი რქოვანას აშრევებით, HEX200; (დ – ვ, ზ) – დერმის კოაგულაციური ნეკროზი კანის დანამატების დეფორმაციით, ბირთვების წაგრძელებით და შეჭმუხვით, HEX400; (ე – ვ, თ) – დერმის კოაგულაციური ნეკროზი ნერვული ბოჭკოების დეფორმაციით, შეჭმუხვით HEX200; (ფ – ვ, თ) – დერმის კოაგულაციური ნეკროზი ნერვული ბოჭკოს დეფორმაციით; HEX400; (გ – ვ, ზ) – დერმის კოაგულაციური ნეკროზი კანის დანამატების დეფორმაციით და დესტრუქციით, HEX400; (ჰ – დ, ე, ვ) – ეპიდერმისის და დერმის კოაგულაციური ნეკროზი დერმის დვრილების დეფორმაციით და სპეციფური, დვრილისებრი სტრუქტურების ფორმირებით, HEX400; (ი – დ, ვ, ბ, გ) – ეპიდერმისის და დერმის კოაგულაციური ნეკროზი ეპიდერმისის ეპითელიოციტების ბირთვების ელიფსური დეფორმაციით, რქოვანას აშრევებით და ერითროციტების არსებობით აშრევებულ სტრუქტურებში, HEX400;

დასკვნა: კვლევის ზემოაღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ელექტროტრავმის დიაგნოზის დასასმელად არატიპური ელექტრონიშის პირობებში სპეციფიურ ნიშნებად შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი ჰისტომორფოლოგიური მახასიათებლები: ეპიდერმისის კეროვანი კოაგულაციური ნეკროზი, დერმის დვრილების დეფორმაცია სპეციფიური, დვრილისებრი სტრუქტურების ფორმირებით, დერმის კეროვანი კოაგულაციური ნეკროზი, რომლებიც ყველა შემთხვევაში იყო გამოხატული, ხოლო უმეტეს შემთხვევაში დამახასიათებელ ნიშნებიდან გამოხატული იყო: რქოვანას აშრევა (ა - 86%), ეპიდერმისის ეპითელიოციტების ბირთვების ელიფსური დეფორმაცია (გ - 86%), კანის დანამატების (თმის ფოლიკულების, ქონის ჯირკვლების, საოფლე ჯირკვლების გამომტანი სადინრების) ბირთვების დეფორმაცია (ზ - 86%), ნერვული ბოჭკოების დეფორმაცია (თ - 86%), რომლებიც ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ელექტროტრავმის დიაგნოზის დასმისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კილასონია ბ.: სასამართლო მედიცინა. თბილისი, 2020. გვ.190-194
2. Boyd A.N., Hartman B.C., Sood R., Walrotha T.A.: A voltage-based analysis of fluid delivery and outcomes in burn patients with electrical injuries over a 6-year period; Elsevier 2018/8
3. DiMaio V.J., DiMaio D.: Forensic Pathology. Ch 16: Electrocution. 2nd ed., 2001: 114-123
4. Huitong Liu, Qiaofeng Wang, et al. The Clinical and Medicolegal Analysis of Electrical Shocked Rats: Based on the Serological and Histological Methods, Biomed Res Int. 2016; 2016: 4896319.
5. Knight B.: Forensic Pathology, Electrical fatalities, London, 1996:319-331
6. Lindström R., Bylund P.O., Eriksson A.: Accidental deaths caused by electricity in Sweden, 1975-2000. J Forensic Sci. 2006 Nov; 51(6):1383-8
7. Saukko P., Knight B.: Knight's Forensic Pathology, Ch. 12: Electrical Fatalities. 2004: 319-331
8. Shepherd R.: Simpson's Forensic Medicine. Ch: Electrical Injury. 12th ed., London, 2003:111-4
9. Taylor A.J., McGwin G., Brissie R., Rue L.W., Davis G.: Death During Theft From Electric Utilities. Case Report. American Journal of Forensic Medicine&Pathology. June 2003;4(2):173-6
10. Thali M.J., Yen K., Dirnhofer R., Potter K.: MR Microscopy in Forensic Medicine: Analysis of Electric Injury Patterns in Human Skin. Proc. Intl. Soc. Mag. Reson. Med. 2002; 10: 94-97
11. Томолин В.В. Медико-криминалистическая идентификация. Исследование следов-повреждений от воздействия технического электричества, Москва 2000, сс 179-184

დავით გრიგოლია, კახა მოსიძე, გელა მერაბიშვილი, ნანა კიკალიშვილი, რუსუდან ბერიაშვილი

კანის ჰისტომორფოლოგიური ცვლილებები ელექტროტრავმის დროს

თსუ სასამართლო მედიცინის დეპარტამენტი; თსუ პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტი; საქართველო

რეზიუმე

ელექტროდენით დაზიანება ხშირად არასპეციფიკურია და სწორი დიაგნოზის დასმა მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კანზე ელექტრონიშა არ ვითარდება ან ვითარდება არაღამახასიათებელი ფორმით. დიაგნოზის სწორად დასასმელად საჭიროა კვლევის თანამედროვე ახალი მეთოდების გამოყენება. მორფოლოგიური ცვლილებების შესასწავლად ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტი ვირთავებზე მოდელირებული ელექტროტრავმის სახით. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ელექტროტრავმის დიაგნოზის დასასმელად არატიპური ელექტრონიშის პირობებში სპეციფიურ ნიშნებად შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი ჰისტომორფოლოგიური მახასიათებლები: ეპიდერმისის კეროვანი კოაგულაციური ნეკროზი, დერმის დვრილების დეფორმაცია სპეციფიური, დვრილისებრი სტრუქტურების ფორმირებით, დერმის კეროვანი კოაგულაციური ნეკროზი, კომბინაციაში დამახასიათებელ ნიშნებიდან ერთად, როგორც არის: რქოვანას აშრევა, ეპიდერმისის ეპითელიოციტების ბირთვების ელიფსური დეფორმაცია, კანის დანამატების (თმის ფოლიკულების, ქონის ჯირკვლების, საოფლე ჯირკვლების გამომტანი სადინრების) ბირთვების დეფორმაცია, ნერვული ბოჭკოების დეფორმაცია.

ნინო ოზბეთელაშვილი, მარიამ ქურდიანი, ლაშა სახვაძე, დავით ცხომელიძე
IVF და დაავადების მკურნალობა სუპერ თანამედროვე მეთოდებით
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური ბიოლოგიის და
პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.05.10>

NINO OZBETELASHVILI, MARIAM QURDIANI, LASHA SAKHVADZE, DAVID TSKHOMELIDZE

IVF AND DISEASE TREATMENT WITH SUPER MODERN METHODS

Department of Molecular Biology and Parasitology of Tbilisi State Medical University

SUMMARY


The article discusses important issues and problems in the field of medicine of the 21st century, namely IVF and CRISPR Cas-9. Baseline information, infertility symptoms, IVF treatment candidates, IVF and polycystosis, gene editing, and CRISPR Cas-9 are presented. Emphasis is placed on the causal relationship between treatment and rehabilitation. Proper public awareness and relevance of the issue are important, as IVF and CRISPR Cas-9 are quite noteworthy and noteworthy in the treatment of diseases with super-modern methods of medicine. The use of IVF for the treatment of infertility in women with polycystosis (PCOS) has increased significantly, and treatment strategies have changed dramatically. The effectiveness of its management depends on the early detection of the condition and preventive measures.

Keywords: IVF, disease, treatment

შესავალი. IVF არის დამხმარე რეპროდუქციული ტექნიკის ფორმა, რომელიც ეხმარება უნაყოფობის პრობლემის მქონე წყვილებს დაორსულებასა და შვილების გაჩენაში. იგი შედგება მრავალი კომპლექსური ნაბიჯისგან [1]. IVF მკურნალობა იძლევა წარმატების უმაღლეს მაჩვენებელს ასეთი ტიპის სხვა სახის ოპერაციებთან შედარებით. შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ ის ამ ეპოქის უდიდესი სამეცნიერო მიღწევაა და ალბათ არაა გასაკვირი ის ფაქტი, რომ მრავალი მეცნიერის მიერ იგი მედიცინის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ „იარაღად“ ითვლება. მისი სიღიადე გამოიხატება უნაყოფობის მიზეზების დადგენაში, რომელიც შეიძლება იყოს ფალოპის მილების დაბლოკვა და ოვულაციის პრობლემები. ასევე აღსანიშნავია, რომ რიგ დაბრკოლებას მიეკუთვნება ასაკი, თუმცა ეს საკითხიც დაძლევალია [2]. IVF იძლევა ემბრიონში გენების რედაქტირების საშუალებას და შესაბამისად მრავალი დაავადების განკურნების მეთოდია, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი ინტეჯიური, სიმსივნური და ავტოიმუნური დაავადებებია. IVF საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ინფორმაცია შესაძლო გენეტიკურ პრობლემებზე. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ინ ვიტრო განაყოფიერება მნიშვნელოვანია რეპროდუქციული ბიოლოგიის განვითარებაში, რადგან ეს უკანასკნელი ნაყოფის ჯანმრთელობის შესახებ ახალ ინფორმაციას მოგვანვდის და დაგვეხმარება უფრო ეფექტური ხერხების შემუშავებაშიც.

აღსანიშნავია, რომ IVF გამოიყენება სხვადასხვა დაავადების, მათ შორის პოლიცისტოზის, სამკურნალოდ [3]. პოლიცისტოზური საკვერცხის სინდრომი (PCOS) საერთო ჰორმონალური მდგომარეობაა, რომელიც გავლენას ახდენს რეპროდუქციული ასაკის ქალებში. PCOS-მა შეიძლება გამოიწვიოს ჰორმონალური დისბალანსი, არარეგულარული მენსტრუაციული ციკლები, ჭარბი ანდროგენული დონე, გენეტიკური დარღვევები, მუტაციები და ცისტინი საკვერცხეები. პოლიცისტოზის გამომწვევი მიზეზი უცნობია, თუმცა სტატისტიკის მიხედვით საქართველოში მისი გავრცელების დონე 3-ჯერ უფრო მეტია. ის ქრონიკული მდგომარეობაა და მკურნალობა შეუძლებელია, მაგრამ მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია ცხოვრების წესის ცვლილების, მედიკამენტების და ნაყოფიერების მკურნალობის გზით [4].

განაყოფიერების პროცესი ადამიანებში (A) და ეღვარდის მიერ შემუშავებული ხელოვნური განაყოფიერების სქემა (B)



O-საკვერცხე U-საშვილოსნო FT-ფალოპის მილები

A: 1 - კვერცხუჯრედის მომწიფება; 2 - ოვულაცია; 3 - განაყოფიერება; 4 - უჯრედის გაყოფა; 5 - ინპლანტაცია (საშვილოსნოს კედელზე მიმაგრება). B: 1 - კვერცხუჯრედის გამოყოფა საკვერცხეებიდან; 2 - განაყოფიერება; 3 - ინპლანტაცია (განაყოფიერებული კვერცხუჯრედის საშვილოსნოში დაბრუნება და საშვილოსნოს კედელზე მიმაგრება) [11].

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში IVF-ის გამოყენება უნაყოფობის მკურნალობისთვის PCOS ქალებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და მკურნალობის სტრატეგიები მკვეთრად შეიცვალა. PCOS პაციენტები იმყოფებოდნენ საკვერცხის ჰიპერსტიმულაციის სინდრომის მომატებული რისკის ქვეშ; შესაბამისად, ყურადღება უნდა მიექცეს ინ ვიტრო განაყოფიერების მკურნალობის სწორი პროტოკოლის არჩევას. მომავალმა მოვლენებმა შეიძლება გააუმჯობესოს ორსულობის შედეგები და შეამციროს გართულებები PCOS ქალებში, რომლებიც გადიან ნაყოფიერების მკურნალობას.

კვლევებმა - მანუალური ფიზიკური თერაპიის გავლენა ქალის უნაყოფობაზე - დაადგინეს, რომ ქსოვილის მანიპულირება და მოძრაობა მობილობისა და სისხლის ნაკადის გასაზრდელად აუმჯობესებს ორსულობის მაჩვენებლებს [5]. ორსულობის გაუმჯობესებული მაჩვენებლები შეიმჩნეოდა PCOS და ენდომეტრიოზის მსგავსი პრობლემების მქონე ადამიანებში.

საინტერესოა, როგორ შეერწყა IVF და გენური ინჟინერია [6,7], კერძოდ, CRISPR Cas-9. გენომის რედაქტირების, რომელსაც ასევე უწოდებენ გენის რედაქტირებას, ტექნოლოგია შედგება დნმ-ის "რედაქტირების" სხვადასხვა ტიპის სისტემებისგან, რომლის მიზანია დნმ-ის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობის ჩასმა, წაშლა ან სხვაგვარად გენომის შეცვლა კონკრეტულ და მიზნობრივ ადგილებში. ორგანიზმის გენეტიკური მასალა პირდაპირ და ხელოვნურად იცვლება ადამიანების მიერ და არა რეპროდუქციული პროცესის საშუალებით, ამ უკანსკნელს გენეტიკური ინჟინერიის ფორმას აძლევს. შედეგად წარმოიქმნება გენმოდიფიცირებული ორგანიზმები (გმო).

CRISPR არის ტექნოლოგია, რომელმაც გენეტიკური ინჟინერია თავდაყირა დააყენა [8]. იგი საშუალებას მოგვცემს, განვკურნოთ დაავადებები, შევქმნათ უფრო ჯანმრთელი შთამომავლობა, გავზარდოთ სიცოცხლის ხანგრძლივობა და ა.შ. CAS-9 ბაქტერიის მთლიან გენომს ამოწმებს და მასში არსებულ თანმიმდევრობებს ვირუსის დნმ-ის ასლს ადარებს. ნახსენები ცილა ძალიან ზუსტია და რეგულაციას მაშინ დაიწყო, როდესაც მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მისი სურვილისამებრ დაპროგრამირება შეეძლოთ. ამისათვის საკმარისია, რომ CAS-9 ცილის უჯრედში მოვათავსოთ და მას დნმ-ის იმ თანმიმდევრობის ასლი მივცეთ, რომლის შეცვლაც გვსურს.

კლინიკურ პროგრამებში იმუნოგენურობა, ეფექტური მიწოდების სისტემები, სამიზნე ეფექტი და ეთიკური საკითხები იყო ძირითადი ბარიერები ტექნოლოგიის გასაგრძელებლად. მიუხედავად იმისა, რომ CRISPR-Cas-9 გარდამტეხია მოლეკულურ ბიოლოგიაში და აქვს უამრავი როლი, დაწყებული ძირითადი მოლეკულური კვლევებიდან კლინიკურ პროგრამებამდე, ჯერ კიდევ

არსებობს გამონწვევები პრაქტიკაში და დაბრკოლებების დასაძლევად საჭიროა სხვადასხვა გაუმჯობესების ხერხები.

CRISPR-Cas9 ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს გენეტიკურად გაუთვალისწინებელი გვერდითი მოვლენები [10]. შესაძლოა იმუნიტეტმა გაუწიოს წინააღმდეგობა, კერძოდ კი P-53, რომელიც იცავს ორგანიზმს, ასეთ შემთხვევებში კი ეძებენ ახალ ფერმენტებს: Cas-3, Cas-x, Cas-11, Cas-y. ამიტომ გარკვეული ხნის განმავლობაში აუცილებელია რეაბილიტოლოგის და მკურნალის მჭიდრო კონტაქტი. დღეისთვის შეუსწავლელია, მაგრამ მომავალში გამოიკვეთება რეაბილიტოლოგის როლი. ასევე ჯერჯერობით არ არის ცნობილი თუ როგორი სახის რეაბილიტაცია იქნება საჭირო. ამ მეთოდით ასევე შეგვიძლია დაუნის სინდრომს ვუმკურნალოთ და ამ დროს კი რეაბილიტოლოგი უმნიშვნელოვანესია.

კვლევის მიზანი: საზოგადოების ინფორმირებულობის და დამოკიდებულების განსაზღვრა; მკურნალებისა და რეაბილიტოლოგიების მულტიმედიატორული მიდგომის ჩამოყალიბების საჭიროების დადგენა.

კვლევის ამოცანები: საზოგადოების ინფორმირებულობის დონისა და დამოკიდებულების შეფასება (რაოდენობრივი კვლევა). სამედიცინო პერსონალთან, გინეკოლოგებთან, მეან-გინეკოლოგებთან, და რეაბილიტოლოგთან ექსპერტული აზრის კვლევა კავშირის დასადგენად მკურნალობასა და რეაბილიტაციის პროცესებს შორის (თვისებრივი კვლევა).

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის პირველ ეტაპზე განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუ. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ადამიანები, რომელთაც აქვთ უფრო სრულყოფილი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით და აქვთ საკუთარი დამოკიდებულება ამ თემაზე პროფესიიდან გამომდინარე. კვლევაში მონაწილეობდა 3 რესპოდენტი, რომელიც შეირჩა მიზნობრივი შერჩევის პრინციპის საფუძველზე.

კვლევის ტიპი თვისებრივი კვლევა. ჩაატარეთ 30-45 წუთიანი ინტერვიუ, რომლისთვისაც გამოვიყენეთ ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. გაშიფვრის შემდგომ მოხდა მთავარი დადებითი, უარყოფითი და რეკომენდაციული ტიპის ტენდეციებისა და აქცენტების გამოყოფა.

კვლევის მეორე ეტაპზე გამოყენებულია მასობრივი გამოკითხვის მეთოდი. რესპოდენტები შეირჩნენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მოცემულ კვლევაში გენერალურ ერთობლიობას თბილისის მოსახლეობა წარმოადგენდა. ანკეტა გადაეგზავნა 150 ადამიანს, რომელთაგან პასუხი დააბრუნა 110-მა. შესაბამისად გამოკითხულთა ერთობლიობა განისაზღვრა N=110 ინდივიდით. გამოვიკითხეთ ელექტრონული აპლიკაციით „GOOGLE FORMS“. კითხვარი რესპოდენტებს გადაეგზავნათ სოციალური ქსელის საშუალებით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კითხვარი, გამოვიყენეთ დახურული ტიპის კითხვები.

შედეგები: თვისებრივი კვლევის შედეგად რესპოდენტთა მიერ განსაზღვრული მთავარი დადებითი ტენდეციაა ის, რომ საქართველოში IVF მიმართ ინტერესი და მიმართვიანობა გაზრდილია, ჩატარებული პროცედურების უმეტესი ნაწილი შედეგიანია, სერვისების მიწოდება გაიზარდა და დაიხვეწა.

„დღეს უფრო მეტი ადამიანია ინფორმირებული ინ ვიტრო განაყოფიერების, როგორც უშვილობის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა და უფრო მაღალია მომართვიანობა ვიდრე ადრე იყო, ქალები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საკუთარ თავს და ჯანმრთელობას“

„ხშირად მქონია შემთხვევა, როდესაც ოჯახის წევრები უნდობლობას გამოხატავდნენ ინოვაციური მიდგომის მიმართ და უჭირდათ ამ სიახლის მიღება, მაგრამ დღესდღეობით საკითხის მიმართ უფრო მეტად სერიოზული დამოკიდებულება იკვეთება, ვიდრე ადრე წლების წინ იყო“

„დღეს, როდესაც პაციენტი მოდის ჩვენთან, არამხოლოდ მათ, არამედ ოჯახის წევრებმაც იციან რა არის ინ ვიტრო განაყოფიერება, მოსვლისას უკვე აქვთ საბაზისო ინფორმაცია მოძიებული ინტერნეტ წყაროებიდან, ლიტერატურიდან და ა.შ“

გამოკითხულთა თქმით მთავარ უარყოფით ტენდენციებს წარმოადგენს ის, რომ საქართველოში ჯერ-ჯერობით ნაკლებია ამ მიმართულებით მულტისექტორული მიდგომა და ნაკლები ყურადღება ეთმობა რეაბილიტაციურ მუშაობას.



„განვითარებულ ქვეყნებში ამ მიმართულებით გუნდური პრინციპით მუშაობენ, რომელიც გულისხმობს - გინეკოლოგების, მეან-გინეკოლოგების, რეაბილიტოლოგების, ფსიქოლოგების ერთობლივ თანამონაწილეობით ჩართულობას“

„საჭიროა საკითხის მიმართ ყურადღების დროული გამახვილება და ქალების შესაბამისად მომზადება, მანუალური ფიზიკური თერაპია ასევე მხარს უჭერს ადამიანებს, რომლებიც გადიან ინ ვიტრო განაყოფიერების (IVF) პროცესს.“


„ტკივილისა და დისკომფორტის შემცირება: უნაყოფობა შეიძლება იყოს ფიზიკურად და ემოციურად რთული პერიოდი. ფიზიკურ თერაპიას შეუძლია შეამსუბუქოს ნებისმიერი ტკივილი ან დისკომფორტი მენჯის მიდამოში, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ჩასახვას.“

მასობრივი გამოკითხვის შედეგები: ქალები უფრო მეტად დაინტერესდნენ ამ კვლევით, ამიტომაც გამოკითხულთა 73% მდებარეობითი სქესისაა. მათი აზრით, უშვილობის მიზეზი უმეტესად გენეტიკური ფაქტორები, დაავადებები და ასაკია.

გამოკითხულთათვის ინფორმაციის ძირითადი წყარო სოციალური ქსელებია, რაც გარკვეულ საფრთხეებთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 70% ემხრობა ინ ვიტრო განაყოფიერებას და ისინი, რომ იღვწენ უშვილობის პრობლემის წინაშე, აუცილებლად მიმართავენ ამ პროცედურას, ხოლო CRISPR-Cas9-ს არ მიმართავენ. 64% თავს შეიკავებდა IVF-სა და CRISPR-Cas-ის გამოყენებისგან ფინანსური ბარიერის გამო. გამოკითხულთა 44%-სთვის ნაწილობრივ მისაღებია გენთა რედაქტირება და საჭიროების შესაბამისად მიმართავენ ამ პროცედურას, რაც ნიშნავს, რომ დაავადებათა განსაკურნად მიმართავენ ამ ტექნოლოგიას, მაგრამ მას არ გამოიყენებდნენ ნაყოფის ფიზიკური მახასიათებლის შესაცვლელად.




რა იქნებოდა ის ბარიერი, რომლის გამოც თავს შეიკავებდით პროცედურისგან?




■ ფინანსური ბარიერი ■ საზოგადოების დამოკიდებულება ■ სხვა

მისაღებია თუ არა თქვენთვის გენთა რედაქტირება და საჭიროების შემთხვევაში მიმართავდით თუ არა მას?




■ მისაღებია და მივმართავდი
 ■ მისაღებია, მაგრამ ჩემს შემთხვევაში არ მივმართავდი
 ■ არ არის მისაღები და არ მივმართავდი
 ■ ნაწილობრივ მისაღებია და მივმართავდი შემთხვევის შესაბამისად

უნდა გამოიყენებოდეს თუ არა CRISPER Cas-9 დაავადებათა განსაკურნად?



■ უნდა გამოიყენებოდეს ■ არ უნდა გამოიყენებოდეს

რამდენად მისაღებია CRISPER Cas-9 ფიზიკური მახასიათებლების შესაცვლელად?



■ მისაღებია ■ არ არის მისაღები

დასკვნა: XXI საუკუნის საზოგადოებას არ უნდა ეშინოდეს ახალი გამოწვევების და კვალდაკვალ უნდა მიყვებოდეს მედიცინის განვითარებას. IVF და CRISPR Cas-9-ს მიმართულება წარმოადგენს მედიცინის მომავალს. მკურნალობას, რეაბილიტაციას და სუპერ თანამედროვე მეთოდებს შევხედოთ მოლეკულური ბიოლოგიის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Amanda D Rice, Kimberley Patterson, Leslie B Wakefield, et al. Ten-year Retrospective Study on the Efficacy of a Manual Physical Therapy to Treat Female Infertility. 2015 Feb 17;at5233. PMID: 25691329.
2. Can You Ask For Twins With IVF? - <https://globmed.co.uk/blog/can-ask-twins-ivf/>
3. Genetic Engineering Will Change Everything Forever – CRISPR - <https://www.youtube.com/watch?v=jAhjPd4uNFY>
4. How does IVF Work? Discover How a Physiotherapist Can Help - https://www.shchatswoodmedicalcentre.com.au/how-does-ivf-work/#What_Can_A_Physiotherapist_Do_To_Help_The_IVF_Process
5. In vitro fertilization (IVF) - <https://medlineplus.gov/ency/article/007279.htm>
6. Kefu Tang, Lei Wu, Ying Luo, Bo Gong. In vitro fertilization outcomes in women with polycystic ovary syndrome: A meta-analysis. 2021 Apr;259:146-152. DOI: 10.1016/j.ejogrb.2021.02.023. Epub 2021 Feb 24. PMID: 33676123.
7. Pelvic Physical Therapy Improves IVF Outcome - <https://www.sdfertility.com/posts/blog-pelvic-physical-therapy-improves-ivf-outcome/>
8. What is CRISPR-Cas9? - <https://www.yourgenome.org/theme/what-is-crispr-cas9/>
9. გენის ჰაკერები - <https://forbes.ge/genis-hakerebi/>
10. ინ ვიტრო - დეტალური ინფორმაცია <https://www.aversi.ge/cnobar/732/in-vitro-%E2%80%93-detaluri-informacia>
11. „საუბრები ბიოლოგიაზე“ - გელა თევზაძე

ნინო ომბეთელაშვილი, მარიამ ქურდიანი, ლაშა სახვაძე, დავით ცხომელიძე
IVF და დაავადების მკურნალობა სუპერ თანამედროვე მეთოდებით
 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური ბიოლოგიის და
 პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია XXI საუკუნის მედიცინის სფეროს მნიშვნელოვანი საკითხები და პრობლემები, კერძოდ IVF და CRISPR Cas-9. წარმოდგენილია ბაზისური ინფორმაცია, უშვილობის სიმპტომები, IVF-ის მკურნალობის კანდიდატები, IVF და პოლიცისტოზი, გენთა რედაქტირება და CRISPR Cas-9. აქცენტი გაკეთებულია მკურნალობასა და რეაბილიტაციის მიზნებზე-შედეგობრივ კავშირებზე. მნიშვნელოვანია საზოგადოების სწორი ინფორმირებულობა და საკითხის აქტუალიზაცია, რადგან IVF და CRISPR Cas-9 საკმაოდ საყურადღებო და საგულისხმო საკითხია მედიცინაში დაავადებების სუპერ თანამედროვე მეთოდებით მკურნალობისას. IVF- ის გამოყენება უნაყოფობის მკურნალობისთვის პოლიცისტოზის მქონე (PCOS) ქალებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და მკურნალობის სტრატეგიები შეიცვალა. მისი მართვის ეფექტურობა დამოკიდებულია მდგომარეობის ადრეულ გამოვლენაზე და პრევენციულ ღონისძიებებზე.



თამარ შერვაშიძე^{1,2}, რუსუდან კვანჭახაძე¹, დავით აბულაძე², ლია ჯაში³, მირანდა შერვაშიძე⁴

ბარიატრიული ქირურგიის გავლენა სიმსუქნესა და ტიპი 2 შაქრიან დიაბეტზე

¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი; ²დავით აბულაძის ქართულ-იტალიური კლინიკა; ³„ავიცენა“ ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი;

⁴ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.05.11>

TAMAR SHERVASHIDZE^{1,2}, RUSUDAN KVANCHAKHADZE¹, DAVID ABULADZE², LIA JASHI³,
MIRANDA SHERVASHIDZE⁴

IMPACT OF BARIATRIC SURGERY ON OBESITY AND TYPE 2 DIABETES

¹Davit Agmashenebeli University of Georgia; ²Davit Abuladze Georgian-Italian Clinic;

³"Avicena" Batumi Medical University; ⁴Batumi Shota Rustaveli State University

SUMMARY

Obesity is the most common preventable metabolic change in recent decades. The main cause of obesity is a long-term imbalance between energy consumption and expenditure. Obesity causes chronic, systemic inflammation, which may lead to increased insulin resistance (IR), β -cell dysfunction, and ultimately type 2 diabetes mellitus (T2D). In high-risk patients with prediabetes and/or metabolic syndrome, weight loss effectively prevents progression to type 2 diabetes mellitus (T2DM). Bariatric surgery is the most frequently used and effective intervention for the treatment of obesity, which is accompanied by improvement in metabolic and comorbidities. Multifaceted effects of bariatric surgery have been established, including effects on intestinal physiology, neuronal transmission, incretin secretion, bile acid metabolism, and changes in the microbiome. Bariatric surgery improves diabetes control through both weight-dependent and weight-independent mechanisms

Keywords: Bariatric surgery; Diabetes mellitus; Obesity; Type 2 diabetes

ჭარბ წონასთან ან სიმსუქნესთან დაკავშირებული ავადობა და სიკვდილიანობა ცნობილია ჰიპოკრატეს დროიდან 2500 წელზე მეტია. სიმსუქნე არის ქრონიკული მდგომარეობა, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია და ხასიათდება ცხიმის გადაჭარბებული დაგროვებით [1]. მისი ძირითადი მიზეზი ენერჯის მოხმარებასა და ხარჯვას შორის ხანგრძლივი დისბალანსია. კვლევებით დადგენილია, რომ სხეულის მასის ინდექსში (BMI) 40-70 პროცენტს განსაზღვრავს გენეტიკური განწყობა. თუ ინდივიდს ჰყავს ერთი ბიოლოგიური მშობელი სიმსუქნით, მისი სიმსუქნის რისკი სამ-ოთხჯერ იზრდება მათთან შედარებით, ვისაც არ ჰყავს. სიმსუქნის მქონე ორი ბიოლოგიური მშობლის ყოლა ასოცირდება სიმსუქნის 10-ჯერ გაზრდილ რისკთან.

კვლევებმა აჩვენა, რომ ფიზიკური აქტივობის დონე წლების განმავლობაში მცირდება, რაც ხელს უწყობს წონის მატებას [2]. სხვა ფაქტორები, როგორცაა გარემო და ცხოვრების წესი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიმსუქნის განვითარებაში [3]. თუ მიმდინარე ტენდენციები შენარჩუნდება, სავარაუდოა, რომ 2030 წლისთვის, მსოფლიოს ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 20% იქნება მსუქანი და 38% ჭარბწონიანი [4]. ბოლოდროინდელმა COVID-19 პანდემიამ ცხოვრების წესის ცვლილებით, ასევე შეუწყო ხელი სიმსუქნის გავრცელებას [5]. სიმსუქნე და ჭარბი წონა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდის ჯანმრთელობაზე. სიმსუქნე არის ძირითადი რისკ-ფაქტორი ქრონიკული ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობისთვის, როგორცაა ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი და დისლიპიდემია, ინსულტი, ჰიპერტენზია, ძილის აპნოე, ოსტეოართროზი, სხვადასხვა ქრონიკული ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორცაა დეპრესია, კვებითი აშლილობა და პიროვნული დარღვევები, შფოთვა და ფსიქოზი, უნაყოფობა და პოლიციისტური საკვერცხეების სინდრომი [6].

სიმსუქნე და შაქრიანი დიაბეტი ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული დარღვევაა, რომლებიც ზრდიან ავადობის და სიკვდილიანობის სიხშირეს. ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა 85%-ს აღენიშნებათ სხეულის მასის სიჭარბე ან სიმსუქნე. ცნობილია, რომ ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მქონე პირებს აქვთ გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის განვითარების ორჯერ მეტი რისკი, ვიდრე არადიაბეტიან პირებს. დიაბეტის პრევენციის პროგრამის (DPP) მულტიცენტრულმა კვლევამ, გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევის მქონე პაციენტებში აჩვენა, რომ ცხოვრების სტილის ინტენსიურმა მოდიფიკაციამ, რომელიც მიზნად ისახავდა წონის დაკლებას 7 პროცენტით, შეამცირა გლუკოზისადმი დაქვეითებული ტოლერანტობიდან დიაბეტამდე პროგრესირების სიჩქარე 58 პროცენტით.

ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში სიმსუქნით ან სხეულის მასის სიჭარბით ნაჩვენებია სწორი კვება, ქვევითი თერაპია და ფიზიკური აქტივობის გაზრდა (სხეულის მასის 5%-ით შესამცირებლად და შესანარჩუნებლად), მედიკამენტური და ბარიატრიული ქირურგია.


სიმსუქნის მკურნალობის ქირურგიულ პროცედურებს ხშირად უწოდებენ ბარიატრიულ ქირურგიას, წონის დაკლების ოპერაციას, მეტაბოლურ ქირურგიას ან მეტაბოლურ/ბარიატრიულ ქირურგიას. ნახშირწყლოვანი ცვლის გაუმჯობესების გათვალისწინებით, ეს პროცედურები შემოთავაზებულია, როგორც ტიპი 2 დიაბეტის სამკურნალოდ, თუნდაც **მძიმე ხარისხის** სიმსუქნის არარსებობის შემთხვევაში და ამიტომაც მოიხსენიება, როგორც "მეტაბოლური ქირურგია".

ბარიატრიული ქირურგია. სიტყვა ბარიატრია წარმოიშვა მე-20 საუკუნეში ბერძნულიდან baros (წონა) + -iatrics (სამედიცინო მკურნალობა). ისტორიული ცნობები ირწმუნებიან, რომ პირველი ბარიატრიული ოპერაცია ჩატარდა ესპანეთში, მე-10 საუკუნეში. ლეონის მეფე დი სანჩო ისეთი მსუქანი იყო, რომ არ შეეძლო სიარული, ცხენზე ჯდომა და ხმლის აღება, რამაც მას ტახტი დააკარგვინა. ბებია მის კორდობაში წაიყვანა სამკურნალოდ ცნობილ ებრაელ ექიმ ჰასდაი იბნ შაპრუტთან. მეფეს მან ტუჩები ამოუკერა და მხოლოდ თხევადი საკვების მიღება შეეძლო, რომელიც შედგებოდა - რამდენიმე ბალახის ნარევისგან. მათ შორის იყო ოპიუმი, რომლის გვერდითი ეფექტები ხელს უწყობს წონის დაკლებას. მეფე სანჩომ წონის ნახევარი დაიკლო, ლეონში ცხენით დაბრუნდა და ტახტი დაიბრუნა [7].

ბარიატრიული ქირურგია, ცნობილია როგორც მეტაბოლური ქირურგია 1950 წლიდან. მას შემდეგ წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა BS-ის ტიპებში, სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები დაკავშირებული იყო ტექნიკასთან. მორბიდული სიმსუქნის მკურნალობად განიხილება ბარიატრიული ქირურგია, რომელსაც თან ახლავს წონაში კლების უფრო მაღალი მაჩვენებელი და უფრო ხანგრძლივი რემისია (1-დან 5 წლამდე), არტერიული ჰიპერტენზიის, ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის და დისლიპიდემიის [8,9] - ცხოვრების სტილის მოდიფიკაციასთან შედარებით, სადაც 5-8%-ით მცირდება სხეულის წონა და კარდიოვასკულური რისკ ფაქტორები [10].

კუჭის სახელოსნო რეგულაცია (SG) განიხილებოდა თორმეტჯოჯა ნანლავის ორეტაპიანი პროცედურის ნაწილად. თუმცა, კუჭის სეგმენტის მოცილების შედეგად წონის მნიშვნელოვანმა კლებამ აიძულა ქირურგები დამოუკიდებელ ოპერაციად დაემკვიდრებინათ [11]. ლაპაროსკოპიული SG (LSG) ჩატარდა 1999 წელს, როგორც დამოუკიდებელი ოპერაცია 2003 წელს [12].

ბარიატრიული ქირურგიული პროცედურები გავლენას ახდენს წონის დაკლებაზე სამი მექანიზმით: მალაბსორაცია, საკვების შეზღუდვა და ნეიროჰორმონალური პასუხი, რომელიც არეგულირებს შიმშილს და ენერგეტიკულ ბალანსს. ბარიატრიული ოპერაციების ტიპებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია კუჭის სახელოსნო რეგულაცია (SG), მიეკუთვნება რესტრიქციულ ტიპს, რუს წესით ბაიპასი (RYGB) - კი შეზღუდვისა და მალაბსორაციის კომბინაცია.



A - კუჭის სახელოსებრი რეზექცია (SG); B - რუს წესით ბაიპასი (RYGB)

პოსტოპერაციულ ადრეულ პერიოდში ხდება ინსულინისადმი მგრძობელობის ადრეული ღვიძლისმიერი აღდგენა, რაც დაკავშირებულია კალორაჟის შემცირების ფონზე ლიპოლიზის გაძლიერებით და ღვიძლში ცხიმის შემცირებით. ოპერაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ წონის კლების შედეგად ადგილი აქვს ინსულინისადმი პერიფერიული მგრძობელობის გაზრდას კუნთოვანი და ცხიმოვანი ქსოვილის ხარჯზე [13]. სხეულის მასის ინდექსის 30%-ით შემცირება იწვევს ინსულინის მგრძობელობის 50%-ით ზრდას, როგორც ეს ჩანს ინსულინის რეზისტენტობის შესწავლის ევროპულ ჯგუფში (EGIR) [14]. ხანგრძლივი დაკვირვებით გამოვლინდა რომ, ბარიატრიული ქირურგია მნიშვნელოვნად აუმჯობესებს თანმხლებ დაავადებებს, ასევე გლიკემიას, ხშირად ოპერაციიდან რამდენიმე დღეში, წონის დაკლებისგან დამოუკიდებლად. ასევე ამცირებს საერთო სიკვდილიანობას 25-50%-ით [15]. შვედეთში მსუქან სუბიექტებში (Swedish Obese Subjects-SOS), რომელთაც ჩაუტარდათ ბარიატრიული ოპერაცია (კუჭის ბანდაჟირება, ვერტიკალური გასტროპლასტიკა, რუს წესით „ბაიპასი“) ჰქონდათ სიმსუქნესთან დაკავშირებული ავადობის (შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტენზია, დისლიპიდემია) და საერთო სიკვდილიანობის შემცირების უფრო დიდი მაჩვენებელი, ვიდრე ტრადიციულად, მედიკამენტოზურად ნამკურნალებ ჯგუფში [16]. რანდომიზებული კვლევით „STAMPEDE“ - სადაც ჩართული იყო 150 პაციენტი დეკომპენსირებული შაქრიანი დიაბეტით, გამოვლინდა გლიკოზირებული ჰემოგლობინის დაქვეითება <6% და მეტი კუჭის სახელოსებრი რეზექციის (SG) - 23%; რუს წესით ბაიპასით (RYGB) - 29% - მკურნალობიდან 5 წლის შემდეგ [17].

ამერიკის დიაბეტის ასოციაციის (ADA) რეკომენდაციით ბარიატრიული ქირურგია რეკომენდებულია:

- ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტების სამკურნალოდ, რომელთა სმი >40კგ/მ².
- ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებისთვის სმი - 35.0-39.9კგ/მ², სადაც ვერ ხერხდება დაკლებული წონის მყარად შენარჩუნება და ნახშირწყლოვანი ცვლის რეგულაცია ფარმაკოლოგიური საშუალებებით.
- სმი 30-34.9კგ/მ², შეიძლება განიხილებოდეს მკურნალობის ვარიანტად, როცა არაქირურგიული გზით ვერ მიიღწევა ხანგრძლივი დროით წონის კლება და თანმხლები დაავადებების გაუმჯობესება.

ამერიკის ბარიატრიულ და მეტაბოლურ ქირურგთა საზოგადოების (ASMBS) რეკომენდაციით: [18]

- მეტაბოლური და ბარიატრიული ქირურგია (MBS) რეკომენდებულია სხეულის მასის ინდექსით (BMI) ≥ 35 კგ/მ², მიუხედავად თანმხლები დაავადებების არსებობისა, არარსებობისა ან სიმძიმისა.
- MBS გასათვალისწინებელია მეტაბოლური დაავადების მქონე პირებისთვის და BMI 30-34,9კგ/მ².

- MBS-ის შორეული შედეგები მუდმივად აჩვენებს უსაფრთხოებას და ეფექტურობას.

აღმოჩნდა, რომ ჭარბი წონა და სიმსუქნე ძალიან გავრცელებულია ტიპი 1 შაქრიანი დიაბეტის მქონე პირებშიც [19] (დაახლოებით 30% არის ჭარბწონიანი ან მსუქანი), რაც დაკავშირებულია მომატებულ კარდიომეტაბოლურ რისკთან. მართალია, ბარიატრიული ქირურგია აუმჯობესებს მეტაბოლურ პარამეტრებს, საჭიროა ფართომასშტაბიანი კვლევები ბარიატრიული ქირურგიის როლის დასადგენად ტიპი 1 შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში [20].

მიუხედავად იმისა, რომ ბარიატრიული ქირურგია ძვირადღირებულია შაქრიანი დიაბეტის არაქირურგიულ მკურნალობასთან შედარებით, მრავალი კვლევით დასტურდება მისი ხარჯეფექტურობა ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებისათვის [21].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Koliaki C, Liatis S, le Roux CW, Kokkinos A. The role of bariatric surgery to treat diabetes: current challenges and perspectives. *BMC Endocr Disord*. 2017 Aug 10;17(1):50. doi: 10.1186/s12902-017-0202-6. PMID: 28797248;
2. Bassett DR Jr, Wyatt HR, Thompson H, Peters JC, Hill JO. Pedometer-measured physical activity and health behaviors in U.S. adults. *Med Sci Sports Exerc*. 2010 Oct;42(10):1819-25. doi: 10.1249/MSS.0b013e3181dc2e54.
3. Rolls BJ, Roe LS, Beach AM, Kris-Etherton PM. Provision of foods differing in energy density affects long-term weight loss. *Obes Res*. 2005 Jun;13(6):1052-60. doi: 10.1038/oby.2005.123. PMID: 15976148.
4. Smith KB, Smith MS. Obesity Statistics. *Prim Care*. 2016 Mar;43(1):121-35, ix. doi: 10.1016/j.pop.2015.10.001. Epub 2016 Jan 12. PMID: 26896205.
5. Stefan N, Birkenfeld AL, Schulze MB. Global pandemics interconnected - obesity, impaired metabolic health and COVID-19. *Nat Rev Endocrinol*. 2021 Mar;17(3):135-149. doi: 10.1038/s41574-020-00462-1. Epub 2021 Jan 21.
6. Vulcano E, Lee YY, Yamany T, Lyman S, Valle AG. Obese patients undergoing total knee arthroplasty have distinct preoperative characteristics: an institutional study of 4718 patients. *J Arthroplasty*. 2013 Aug;28(7):1125-9. doi: 10.1016/j.arth.2012.10.028. Epub 2013 Mar 21. PMID: 23523207.
7. Tavares A, Viveiros F, Cidade C, Maciel J. Cirurgia bariátrica: do passado ao século XXI [Bariatric surgery: epidemic of the XXI century]. *Acta Med Port*. 2011 Jan-Feb;24(1):111-6. Portuguese. Epub 2011 Feb 28. PMID: 21672448.
8. Puzziferri N, Roshek TB 3rd, Mayo HG, Gallagher R, Belle SH, Livingston EH. Long-term follow-up after bariatric surgery: a systematic review. *JAMA*. 2014 Sep 3;312(9):934-42. doi: 10.1001/jama.2014.10706. PMID: 25182102;
9. Jørgensen NB, Jacobsen SH, Dirksen C, Bojsen-Møller KN, Naver L, Hvolris L, Clausen TR, Wulff BS, Worm D, et al. Acute and long-term effects of Roux-en-Y gastric bypass on glucose metabolism in subjects with Type 2 diabetes and normal glucose tolerance. *Am J Physiol Endocrinol Metab*. 2012 Jul 1;303(1):E122-31. doi: 10.1152/ajpendo.00073.2012. Epub 2012 Apr 24. PMID: 22535748
10. Look AHEAD Research Group. Eight-year weight losses with an intensive lifestyle intervention: the look AHEAD study. *Obesity (Silver Spring)*. 2014 Jan;22(1):5-13. doi: 10.1002/oby.20662. PMID: 24307184;
11. Pournaras DJ, le Roux CW. Are bile acids the new gut hormones? Lessons from weight loss surgery models. *Endocrinology*. 2013 Jul;154(7):2255-6. doi: 10.1210/en.2013-1383. PMID: 23794408.
12. Regan JP, Inabnet WB, Gagner M, Pomp A. Early experience with two-stage laparoscopic Roux-en-Y gastric bypass as an alternative in the super-super obese patient. *Obes Surg*. 2003 Dec;13(6):861-4. doi: 10.1381/096089203322618669. PMID: 14738671.
13. Jørgensen NB, Jacobsen SH, Dirksen C, Bojsen-Møller KN, Naver L, Hvolris L, Clausen TR, Wulff BS, et al. Acute and long-term effects of Roux-en-Y gastric bypass on glucose metabolism in subjects with Type 2 diabetes and normal glucose tolerance. *Am J Physiol Endocrinol Metab*. 2012 Jul 1;303(1):E122-31. doi: 10.1152/ajpendo.00073.2012. Epub 2012 Apr 24. PMID: 22535748.

14. Ferrannini E, Mingrone G. Impact of different bariatric surgical procedures on insulin action and beta-cell function in type 2 diabetes. *Diabetes Care*. 2009 Mar;32(3):514-20. doi: 10.2337/dc08-1762. PMID: 19246589;
15. Hainer V, Toplak H, Mitrakou A. Treatment modalities of obesity: what fits whom? *Diabetes Care*. 2008 Feb;31 Suppl 2:S269-77. doi: 10.2337/dc08-s265. PMID: 18227496.
16. Sjöström L. Review of the key results from the Swedish Obese Subjects (SOS) trial - a prospective controlled intervention study of bariatric surgery. *J Intern Med*. 2013 Mar;273(3):219-34. doi: 10.1111/joim.12012. Epub 2013 Feb 8. PMID: 23163728.
17. Schauer PR, Bhatt DL, Kirwan JP, et al. STAMPEDE Investigators. Bariatric Surgery versus Intensive Medical Therapy for Diabetes - 5-Year Outcomes. *N Engl J Med*. 2017 Feb 16;376(7):641-651. doi: 10.1056/NEJMoa1600869. PMID: 28199805; PMCID: PMC5451258.
18. Eisenberg D, Shikora SA, Aarts E, Aminian A, Angrisani L, et al. 2022 American Society for Metabolic and Bariatric Surgery (ASMBS) and International Federation for the Surgery of Obesity and Metabolic Disorders (IFSO): Indications for Metabolic and Bariatric Surgery. *Surg Obes Relat Dis*. 2022 Dec;18(12):1345-1356. doi: 10.1016/j.soard.2022.08.013. Epub 2022 Oct 21. PMID: 36280539.
19. Miller KM, Foster NC, Beck RW, Bergenstal RM, DuBose SN, et al. T1D Exchange Clinic Network. Current state of type 1 diabetes treatment in the U.S.: updated data from the T1D Exchange clinic registry. *Diabetes Care*. 2015 Jun;38(6):971-8. doi: 10.2337/dc15-0078. PMID: 25998289.
20. Kirwan, J.P., Aminian, A., Kashyap, S.R., Burguera, B., Brethauer, S.A., & Schauer, P.R. (2016). Bariatric Surgery in Obese Patients With Type 1 Diabetes. *Diabetes Care*, 39, 941 - 948.
21. Fouse T, Schauer P. The Socioeconomic Impact of Morbid Obesity and Factors Affecting Access to Obesity Surgery. *Surg Clin North Am*. 2016 Aug;96(4):669-79. doi: 10.1016/j.suc.2016.03.002. PMID: 27473794.

თამარ შერვაშიძე ^{1,2}, რუსუდან კვანჭახაძე ¹, დავით აბულაძე ², ლია ჯაში ³, მირანდა შერვაშიძე ⁴
ბარიატრიული ქირურგიის გავლენა სიმსუქნესა და ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტზე
¹საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი; ²დავით აბულაძის ქართული-იტალიური კლინიკა; ³„ავიცენა“ ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი; ⁴ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

სიმსუქნე ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე გავრცელებული მეტაბოლური ცვლილებაა, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია. სიმსუქნის ძირითადი მიზეზი არის ხანგრძლივი დისბალანსი ენერჯის მოხმარებასა და ხარჯვას შორის. სიმსუქნე იწვევს ქრონიკულ, სისტემურ ანთებას, რის შედეგადაც შესაძლოა განვითარდეს ინსულინისადმი რეზისტენტობის მატება (IR), β-უჯრედების დისფუნქცია და საბოლოოდ ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი (T2D). მაღალი რისკის მქონე პაციენტებში პრედიკციით და/ან მეტაბოლური სინდრომით, წონის დაკლება ეფექტურად აფერხებს ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტისკენ (T2DM) პროგრესირებას. ბარიატრიული ქირურგია ყველაზე ხშირად გამოყენებული და ეფექტური ჩარევაა სიმსუქნის სამკურნალოდ, რასაც თან ახლავს მეტაბოლური და თანმხლები დაავადებების გაუმჯობესება. დადგენილია ბარიატრიული ქირურგიის მრავალმხრივი მოქმედება, მათ შორის გავლენა ნაწლავის ფიზიოლოგიაზე, ნეირონულ გადაცემაზე, ინკრეტინების სეკრეციაზე, ნაღვლის მუშაობის მეტაბოლიზმზე და მიკრობიომის ცვლილებებზე. ბარიატრიული ქირურგია აუმჯობესებს დიაბეტის კონტროლს, როგორც წონაზე დამოკიდებული, ისე წონაზე დამოუკიდებელი მექანიზმებით.



მარიამ მორჩილაძე¹, გიორგი ჟორჯოლიანი¹, თამილა სილაგაძე¹, მარინა ყუფარაძე¹,
ნატალია გარუჩავა¹, ია ავალიანი², ზაზა ბერიშვილი³

ტრიგლიცერიდების ახლებულად შეფასებული შესაძლებლობები და ათეროსკლეროზის ნარჩენი რისკი

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ²თბილისის სამედიცინო აკადემია, ³გრიგოლ
რობაქიძის უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.05.12>

MARIAM MORCHILADZE¹, GIORGI ZHORZHOLIANI¹, TAMILA SILAGADZE¹,
MARINA KUPARADZE¹, NATALIA GARUCHAVA¹, IA AVALIANI², ZAZA BERISHVILI³

NENEWLY ASSESSED TRIGLYCERIDE LEVELS AND RESIDUAL RISK OF ATHEROSCLEROSIS

¹Tbilisi State Medical University; ²Shotadze Tbilisi Medical Academy; ³Gruni

SUMMARY

Morbidity and mortality caused by atherosclerotic cardiovascular disease (CVD) remain a major challenge in modern medicine. Extensive prospective studies of epidemiologic, genetic, and clinical data clearly demonstrate that LDL-cholesterol is a major risk factor for atherosclerosis and cardiovascular disease risk. In recent years, LDL-C levels have decreased with active intervention. Nevertheless, the so-called development of atherosclerosis and cardiovascular diseases (CVD) remained in a certain part of patients as known as Residual risk. One of the risk factors for this is an increase level of triglycerides (HTG) and lipoproteins containing triglycerides (Lp-TG) in the blood serum.

Aim of the study: The aim of this review article is to show that, despite the widely studied and generally recognized pharmacological means of reducing the level of triglycerides and triglyceride-containing lipoproteins (Lp-TG) in the treatment of dyslipidemia, due to the global nature of the problem, the questions need to be answered. It is necessary to obtain information and consider new perspectives. The article discusses the relationship between elevated triglyceride (TG) and triglyceride-replacing lipoprotein (Lp-TG) levels and residual risk of atherosclerosis.

Materials and Methods: Morbidity and mortality caused by atherosclerotic diseases are still the main challenge of modern medicine. Cardiovascular diseases (CVD) do not lose their relevance. This is indicated by the 2021 guideline for the reduction of cardiovascular disease of the European Society of Cardiology. There is found and indicated reductions based on which it was determined that even when the target level of LDL-C is reached, there is still a residual risk of developing CVD. The article discusses the studies based on the relationship between the increase in the level of triglycerides (TG) and triglyceride-replacing lipoproteins (Lp-TG) and the risk of developing atherosclerosis. Although the reduction of LDL-C level is the main fact of pharmacotherapy of dyslipidemia, the article deals with the current results of TG-lowering agents and the role of fibrates in this therapy, which are recognized by modern guidelines as the most effective class of TG-lowering agents.

Conclusion: Cardiovascular diseases do not lose their relevance. This is indicated by the 2021 guideline for the reduction of cardiovascular disease of the European Society of Cardiology. Replacement of the SKORE table for the fatal risk of cardiovascular disease, which was widely implemented until now, with the SKORE -2 and SKORE OP (OLD PERSON) tables, where total cholesterol was replaced by non-DHL as one of the important predictors of the residual risk of atherosclerosis. The question that the therapy of dyslipidemia was subject to revision was raised, the picture was exacerbated in recent years by the increase in patients diagnosed with metabolic syndrome, obesity, diabetes mellitus type-2, whose blood (TG) and LDL-C levels were quite high. While hypolipidemic (high-intensity statins, ezetimibe, monoclonal antibodies) significantly decreases (up to the norm and below) the level of LDL.

Keywords: Triglyceride, atherosclerosis, CVD, risk

ათეროსკლეროზული კარდიოვასკულური დაავადებებით (CVD) გამოწვეული ავადობა და სიკვდილიანობა კვლავ წარმოადგენს თანამედროვე მედიცინის ძირითად გამოწვევას. ვრცელმა ეპიდემოლოგიურმა, გენეტიკურმა და კლინიკურ მონაცემთა პროსპექტულმა კვლევებმა ნათლად აჩვენა, რომ LDL-ქოლესტერონი არის ათეროსკლეროზის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის განმსაზღვრელი. უკანასკნელ წლებში აქტიური ჩარევით მოხდა LDL-C-ის დონის შემცირება. მიუხედავად ამისა, პაციენტთა გარკვეულ ნაწილში მაინც დარჩა ათეროსკლეროზისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (CVD) განვითარების ე.წ. ნარჩენი (რეზიდუალური) რისკი. ამის ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია სისხლის შრატში ტრიგლიცერიდების (HTG) და ტრიგლიცერიდების შემცველი ლიპოპროტეინების (Lp-TG) დონის მომატება.

კვლევის მიზნები: ამ მიმოხილვითი სტატიის კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის ჩვენება, რომ მიუხედავად დისლიპიდემიის მკურნალობის პროცესში ტრიგლიცერიდების და ტრიგლიცერიდების შემცველი ლიპოპროტეინების (Lp-TG) დონის შესამცირებელ ფართოდ შესწავლილ და გამოყენებად ფარმაკოლოგიურად საყოველთაოდ აღიარებული საშუალებებისა, პრობლემის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, დაგროვილ კითხვებზე პასუხი გასაცემია, აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება და ახალი პერსპექტივების განხილვა. სტატიაში განხილულია კავშირი ტრიგლიცერიდების (TG) და ტრიგლიცერიდების შემცველი ლიპოპროტეინების (Lp-TG) დონის მატებასა და ათეროსკლეროზის ნარჩენ რისკს შორის.

კვლევის მასალები და მეთოდები. ათეროსკლეროზული დაავადებებით გამოწვეული ავადობა და სიკვდილიანობა კვლავ წარმოადგენს თანამედროვე მედიცინის ძირითად გამოწვევას. კარდიოვასკულური დაავადებები (CVD) აქტუალობას არ კარგავს. ამაზე მიუთითებს 2021 წლის ევროპის კარდიოლოგიური საზოგადოების კარდიოვასკულური დაავადების შემცირების გაიდლაინი. ნაშრომში მოძიებული და მითითებულია კვლევები, რომელთა საფუძველზეც დადგინდა, რომ მაშინაც კი, როცა მიიღწევა LDL-C-ის სამიზნე დონე, მაინც რჩება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების (CVD) განვითარების ნარჩენი (რეზიდუალური) რისკი. სტატიაში განხილულია კვლევები, რომელთა საფუძველზეც დგინდება კავშირი ტრიგლიცერიდების (TG) და ტრიგლიცერიდების შემცველი ლიპოპროტეინების (Lp-TG) დონის მატებასა და ათეროსკლეროზის განვითარების რისკს შორის. მიუხედავად იმისა, რომ LDL-C-ის დონის შემცირება დისლიპიდემიის ფარმაკოთერაპიის ქვაკუთხედი, სტატიაში შევსებით TG-ის დამაქვეითებელი საშუალებების მიმდინარე შედეგებს და ამ თერაპიაში ფიბრატების როლს, რომლებიც თანამედროვე გაიდლაინებით აღიარებულია TG-ის დონის შემამცირებელი ყველაზე ეფექტურ კლასად.

ათეროსკლეროზული კარდიოვასკულარული დაავადებით გამოწვეული ავადობა და სიკვდილიანობა კვლავაც წარმოადგენს თანამედროვე მედიცინის ძირითად გამოწვევას. 140 მილიონზე მეტ ადამიანს აწუხებს აღნიშნული პრობლემა, ხოლო დისლიპიდემია არის ათეროსკლეროზული კარდიოვასკულარული დაავადების (CVD) ძირითადი რისკ-ფაქტორი [1]. კვლევებმა ნათლად აჩვენა, რომ სხვადასხვა პოპულაციისათვის არსებობს უწყვეტი დადებითი კავშირი სისხლში ქოლესტერინის დონესა და გულის კორონარულ დაავადებებს შორის, რომ LDL-ქოლესტერონი არის ათეროსკლეროზის და ათეროთრომბული პროცესების განვითარების უძლიერესი ფაქტორი, ამიტომ გულ-სისხლძარღვთა დაავადების (CVD) რისკის განმსაზღვრელი [2]. ბოლო წლებში შეიქმნა წამლების ახალი კლასები, რომლებიც ეფექტურად ამცირებენ სისხლში ქოლესტერინის დონეს, განსაკუთრებით LDL-ის [3], რომლის დაქვეითებაც წარმოადგენს დისლიპიდემიის ფარმაკოთერაპიის ძირითად მიზანს. მკურნალობის სქემებში გამოყენებული მაღალი ინტენსივობის სტატინები, ქოლესტერონის აბსორბციის ინჰიბიტორები-ეზემტიმები,

პროპროტეინ კონვერტაზა სუბტილიზინ/კექსინი, ტიპი-9-ის ინჰიბიტორები (PCSK9) - მონოთერაპიისას LDL-ის დონეს ამცირებდა 50%-დე, ხოლო სამკურნალო სამკოპონენტური თერაპიისას - 80%-მდე [4]. თუმცა კლინიკურ პრაქტიკაში გიდ-ის მქონე მძიმე პაციენტებში ვერ ხერხდებოდა LDL-C-ის სამიზნე დონის მიღწევა. ასევე ერთ-ერთი მსხვილმასშტაბიანი კვლევით ISCHEMIA სამიზნე დონე (იმ პერიოდის რეკომენდაციებით (1,8 მმოლ/ლ) მიღწეული იქნა პაციენტების მხოლოდ 32%-ში [5,6]. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მიიღებოდა LDL-C-ის სამიზნე დონე, მაინც რჩებოდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების (CVD) განვითარების ნარჩენი (რეზიდუალური) რისკი, რაც დაამტკიცა ფართომასშტაბიანმა კვლევამ - FOURIER [7]. მაშინაც კი, როდესაც LDL-ის სამიზნეზე ბევრად დაბალი იყო (0,78 მმოლ/ლ), მაინც მაღალი იყო მიოკარდიუმის ინფარქტის, ინსულტის, არასტაბილური სტენოკარდიის და კორონარული დაავადების მიზეზებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები, ამ გართულებების სიხშირე შეადგენდა 10,3%-ს [8]. სადაო იყო კითხვა, უკავშირდებოდა თუ არა ათეროსკლეროზის ნარჩენი რისკი ტრიგლიცერიდების დონის მატებას სისხლში, თუმცა ბოლო პერიოდის კვლევებით დგინდება ტრიგლიცერიდებისა (TG) და TG-ის შემცველი ლიპოპროტეინების (Lp-Tg) დონის მატების კავშირი ათეროსკლეროზის ნარჩენ რისკთან [9,10].

ახლო წარსულში ჩატარებული, პოპულაციურ კოჰორტაზე დაფუძნებული ორი შემთხვევა - კონტროლირებული კოჰორტული კვლევის ანგარიში [The Reykjavik study და Eupgoean prospective investigation of Cancer Epic-Norfolk კვლევა], მოიცავდა გიდ-ის 10 158 შემთხვევას [11], The Reykjavik Study-ის მონაცემებით: უზმოდ ტრიგლიცერიდების დონეები შემთხვევების ჯგუფში იყო - 1.19 ± 0.79 მმოლ/ლ, საკონტროლო ჯგუფში - 1.03 ± 0.62 მმოლ/ლ. ზედა და ქვედა Tertile-ში მყოფი ინდივიდების მონაცემების შედარებით, შენონილი მანსებით თანათარდობა CVD-ისთვის შეესაბამებოდა 1,76-ს (95% CI, 3.9-2.2). EPIK - Norfolk კვლევაში 1,57 (95% CI, 1.0-2.24) Epic-Nofdk კვლევაში HDL-დე ქოლესტერინის მაჩვენებლის შენონის შემდეგ თანათარდობა შემცირდა 1,31-მდე (95% CI, 1.06-1.62). დამატებით დასავლურ პოპულაციებში ჩატარებული იმ პროსპექტული განახლებული მეტა-ანალიზის თანახმად, რომელშიც ჩართული იყო 260 000-ზე მეტი პაციენტი და ფიქსირდებოდა გიდ-ის 10 000 მეტი შემთხვევა ზედა და ქვედა tertile-ში მყოფი ინდივიდების მონაცემების შედარების შედეგად შენონილი მანსების თანათარდობა CVD-ისთვის წარმოადგენდა 1,72-ს (95% CI, 1.59-1.90) [11]. აღნიშნული შედეგები იმ მეტა-ანალიზის მიერ მონოდეტული მონაცემების მსგავსია, რომელიც ჩატარდა აზიისა და წყნარი ოკეანის პოპულაციების შედეგების საფუძველზე, თუმცა ამ პოპულაციებში აბსოლუტური რისკი გაცილებით დაბალი იყო [12]. მესამე ფართომასშტაბიანი, პროსპექტული კოჰორტული კვლევა - MELANY - ჩატარდა ისრაელში, მასში მონაწილეობას იღებდა 13 953 ჯანმრთელი მამაკაცი ჯარისკაცი (26-დან-45 წლამდე). მრავალი მონაცემის გათვალისწინებით და შენონით (ასაკი, სმი, HDL, ქოლესტეროლი, ფიზიკური აქტიობა, უზმოდ გლიკემია, არტერიული წნევა, მწველობა). ტრიგლიცერიდების დონის ზედა ზღვარში მყოფი მამაკაცების რისკის კოეფიციენტი გულის კორონარული დაავადებისათვის შეესაბამებოდა 4,05 (95% CI, 2.68-8.61) [13]. საბოლოოდ, Emaging Risk Factor Collaboration-მა (ERFK) შეაგროვა კარდიოვასკულარული რისკის ფაქტორების 112 პროსპექტული კვლევის მონაცემები, რომელიც ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში მოიცავდა 1,2 მილიონი მონაწილის ინდივიდუალურ მონაცემთა ჩანაწერს [14]. ტრიგლიცერიდებისთვის გულის კორონარული დაავადების საფრთხის ფარდობა შეესაბამებოდა 1,37-ს (95% CI, 1.31-1.42), თუმცა HDL-ის და non-HDL-ის ქოლესტერონის მონაცემების გათვალისწინებისა და შენონის შემდეგ შემცირდა - 0,99 (95% CI, 1.94-1.05) [15]. გენეტიკურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ გულის იშემიური დაავადებები კავშირში იყო იმ გენებთან, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ტრიგლიცერიდების მეტაბოლიზმში [16,17].

თანამედროვე მედიცინაში LDL-ქოლესტერონის დონის დაწვევა წარმატებით ხერხდება სტატინებით, ნალვლის მუავეების შეწოვის დამაქვეითებელით (ეზეტიმები) და მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით, თუმცა ისინი ვერ ახდენენ მნიშვნელოვან ზემოქმედებას ტრიგლიცერიდებზე TG-ს და ტრიგლიცერიდების შემცველ ლიპოპროტეინებზე (Lp-TG) [18,19]. მათ დონეს აქვეითებენ ფებრატები [18,20]. დადგენილია კავშირი ტრიგლიცერიდებს, მის შემცველ ლიპოპროტეინებს და ათეროსკლეროზს შორის. ტრიგლიცერიდები როგორც ეთერებია, რომლებიც მიიღება გლიცერინისა და 3 ცხიმოვანი მუავის შეერთებით, აქვთ ყველაზე მაღალი ენერგეტიკული ღირებულება და კალორიების მთავარი წყაროა ჩონჩხის კუნთებისთვის. გროვდებიან ცხიმოვან ქსოვილებსა და კუნთოვან ბოჭკოებში [21], უხსნადი ნივთიერებებია (არ იხსნებიან პლაზმაში), ამიტომ ტრანსპორტირებისათვის საჭიროებენ ლიპოპროტეინულ ნაწილაკებს. სისხლში მათ დონეს განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორი: კერძოდ, საკვებში ცხიმის რაოდენობა და შემადგენლობა, პაციენტის მეტაბოლური და გენეტიკური ფონი, ღვიძლის, პანკრეასის, ნაწლავის კედლის მდგომარეობა და ნაწლავების ფლორა [21,22]. საკვებით მიღებული ტრიგლიცერიდების ქილომიკრონებად აწყობა მიმდინარეობს ნაწლავებში. კაპილარების ენდოთელიუმის უჯრედების სანათურისმხრივ ზედაპირზე. ლიპოპროტეინ ლიპაზას - (LpL) ქოლომიკრონებთან ურთიერთობის შედეგად ხდება თავისუფალი ცხიმოვანი მუავეების გამოთავისუფლება ტრიგლიცერიდებიდან. მათ აქვთ უჯრედის მემბრანის გადაკვეთის უნარი. LpL-მთავარი ფერმენტია, რომელიც ახდენს TG - ჰიდროლიზს, ის სინთეზირდება მაკროფაგებში, ადიპოციტებში, მონოციტებში, შემდეგ კი ტრანსპორტირდება ენდოთელიური უჯრედების ზედაპირზე [21]. რამდენიმე ცილა, რომელიც ცნობილია აპოპროტეინების (Apo) სახელით, არეგულირებს LpL-ის მოქმედებას და ღვიძლიდან ლიპოპროტეინების სინთეზს. ენტროციტებში სეკრეტირდება ქილომიკრონები, ჰეპატოციტებში - ძალიან დაბალი სიმკვრივის (VLDL) ლიპოპროტეინები [21]. VLDL-ში შემავალი ტრიგლიცერიდები მიიღება სხვადასხვა სუბსტრატისგან, მათ შორის ლიპოპროტეინული ტრიგლიცერიდებისგან, თავისუფალი ცხიმოვანი მუავეებისგან და ნახშირწყლებისგან, de novo-სინთეზით მიღებული ცხიმოვანი მუავეებისგან. VLDL-ის ტრიგლიცერიდები ლიპოპროტეინლიპაზას (LpL-ის) ზემოქმედებით კარგავენ თავისუფალ ცხიმოვან მუავეებს, რასაც მოჰყვება VLDL-ის ნაშთების წარმოქმნა, რომელიც ცნობილია საშუალო სიმკვრივის ლიპოპროტეინების სახელით (IDL), რომელიც კიდევ უფრო პატარა ნაწილაკებია [23], შეიცავს 40-ჯერ უფრო მეტ ქოლესტერონსა და ტრიგლიცერიდებს, შესაბამისად უფრო მეტად ათეროგენურია ვიდრე LDL [24]. საბოლოოდ ის გარდაიქმნება LDL-ად. ფიზიოლოგიურ პირობებში VLDL-ის ნაშთები შთაინთქმება ღვიძლის მიერ, მაგრამ როდესაც ისინი გროვდება სისხლში, ჰიპერპროდუქციის ან კლირენსის დაქვეითების გამო სუბენდოთელიარულ სივრცეში გროვდებიან და ხელს უწყობენ ათეროსკლეროზული ფოლაქების წარმოქმნას (სურ.1) [25]. LpL-ის მოქმედებას და ღვიძლიდან ლიპოპროტეინების კლირენს განაგებს Apo-ცილები: კერძოდ ApoC-II წარმოადგენს LpL-ის აქტივობის აუცილებელ კოფაქტორს, ApoC-III ბლოკავს ღვიძლის რეცეპტორების მიერ ლიპოპროტეინების ათვისებას. ApoE არის ლიგანდი, რომელიც მონაწილეობს ღვიძლის მიერ ტრიგლიცერიდებით მდიდარი ნაშთების ათვისებაში. საქმე იმაშია, რომ ქილომიკრონები (რომელთა ზომები 75-დან 1000მმ-ზე მეტია) და VLDL - საკმაოდ დიდი ზომისანი არიან იმისათვის, რომ, სისხლძარღვის კედელში შეაღწიონ, მაშინ როცა რემნანტი VLDL-ები 75მმ-ზე < ნაკლები ზომის არიან, ამიტომ არა მარტო ტრანსპორტირდებიან არტერიის კედლის გავლით, არამედ შემაერთებელი ქსოვილის მატრიქსში რჩებიან კიდევ [26,27]. არტერიის კედლებში შეღწევის შემდეგ შთაინთქმებიან მაკროფაგების მიერ, წარმოქმნიან ე.წ. ქაფისებურ უჯრედებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან უანგვით მოდიფიკაციას და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ანთებითი რეაქციების ჩამოყალიბებაში, რითაც ძლიერდება ათეროსკლეროზული

პროცესები [28]. გარდა ამისა, სისხლძარღვების ზედაპირზე Lp-TG-ის ლიპოლიზი ზრდის ენდოთელიუმის გამავლობას, უჭრედის შიგნით უანგბადის აქტიური ფორმის წარმოქმნას, ნეკროზული ფაქტორის α -ს სეკრეციას, უჭრედების აღდგენას [28,29]. TG-ის დონის მატება ზრდის ისეთი Lp-TG-ის წარმოქმნას, რომლებიც მდიდარი არიან ApoC-III-ით [21–30], რაც არღვევს ლიპოლიზს და Lp-TG-ის კლირენსს [30], რაც კიდევ უფრო ზრდის ათეროსკლეროზულ პროცესებს [30]. ასე რომ, ტრიგლიცერიდების სიჭარბე იწვევს ენდოთელიურ დისფუნქციას. მიუხედავად იმისა, რომ თავად არ წარმოადგენს ათეროსკლეროზული ფოლაქის შემადგენელ ნაწილს, ტრიგლიცერიდებით მდიდარ ნაწილებში შემავალი ქოლესტერონი შესაძლოა გამოყენებული იქნას ათეროსკლეროზული ფოლაქის წარმოსაქმნელად [31,32].

სქემა 1. ათეროსკლეროზის პათოფიზიოლოგია



ტრიგლიცერიდების დონე მატულობს საკვების მიღებიდან 3-6 სთ-ის განმავლობაში, ნორმას უბრუნდება საკვების მიღებიდან 6-8 სთ-ის შემდეგ [35]. ამიტომ კლინიკურ კვლევებში სისხლში TG-ს ამოწმებენ 3-12 სთ-იანი შიმშილის ფონზე, მკურნალობის სტრატეგიაც ამ მონაცემებს ემყარება. თუმცა ბოლო პერიოდში ჩატარებულმა კვლევებმა (MRFIT-The Multiple Risk Faktor intervention, The Womens Haelth, The copen hagen Cifi Heart) აჩვენა, რომ დისლიპიდემიის არარსებობის შემთხვევაში TG-ის დონე ჭამის შემდეგ უზმოსთან შედარებით შეიძლება იყოს მნიშვნელოვნად მაღალი მხოლოდ დისლიპიდემიის, ან ლიპიდური ნაწილაკების კლირენსის დარღვევის შემთხვევაში [35]. თუმცა ამჟამად ჰიპერტრიგლიცერიდემიის დიაგნოზი ემყარება TG-ის უზმო დონეს, ხოლო უზმოდ ყოფნის რეკომენდებული ხანგრძლივობა არის 12 სთ.

ნარჩენი რისკი და ტრიგლიცერიდები. თანამედროვე მედიცინის უმნიშვნელოვანესი მიზანია ათეროსკლეროზის და გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების განვითარების რისკის მქონე პაციენტების იდენტიფიცირება, მაშინაც კი, როდესაც პაციენტების სისხლის შრატში LDL - ქოლესტერონის დონე ნორმალურია ან დაბალი. გარდა ამისა, სტატინებით მკურნალობა ყოველთვის ვერ გამოირიცხავს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა განვითარების რისკს. დადგენილია, რომ განვითარებული ათეროსკლეროზული ფოლაქი არქიტექტურულად ნაკლებად სტაბილურია და მიდრეკილია რღვევისაკენ. ამიტომ უნდა მოხდეს ისეთი დამატებითი ფაქტორების გამოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობს ანთებით პროცესებს და ათეროსკლეროზული ფოლაქის რღვევას, მაშინაც კი, როცა ათეროსკლეროზისა და კარდიოვასკულარული დაავადების განვითარების 10-წლიანი რისკი დაბალია 1%-ზე, ან ზომიერია (1-5%-მდე).

ტრიგლიცერიდების დონის მატება უკავშირდება ათეროსკლეროზის რეზიდუალურ (ნარჩენ) რისკს. ჰიპერტრიგლიცერიდემიის (HTG) დროს ხდება ათეროგენების მეორეული გზის ამუშავება, რაც ასოცირებულია VLDL-ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების მოქმედებასთან, რომელიც აჩქარებს ათეროგენების პროცესს - ათეროგენების პირველი გზა გულისხმობს LDL-ქოლესტერონის დაკავშირების დარღვევას ჰეპატოციტების რეცეპტორებთან, რის გამოც ის ხანგრძლივად ცირკულირებს სისხლში და აღწევს სისხლძარღვის კედელში.

ამრიგად, პაციენტებში ათეროსკლეროზის ნარჩენი რისკის გამოსავლენად აუცილებელია განისაზღვროს არა მარტო LDL-ქოლესტერონის, არამედ ტრიგლიცერიდების და ტრიგლიცერიდების შემცველი ლიპოპროტეინების დონეც. უნდა აღინიშნოს, რომ ჰიპერტრიგლიცერიდემიის შემთხვევაში LDL-ის დონის განსაზღვრით ვერ ფასდება კარდიოვასკულარული რისკი, ვინაიდან TG-ის მაღალი დონე დაკავშირებულია ე.წ. mLDL - ქოლესტერონის დონის მატებასთან, რომელიც LDL-C-ის განსაზღვრისას არ აღირიცხება.

ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების (ECS) და ევროპის ათეროსკლეროზის საზოგადოების (EAS) რეკომენდაციებში (2019), დისლიპიდემიის შესახებ, ოქროს სტანდარტად იქნა მიჩნეული სისხლში მოციკრულე ათეროგენული ნაწილაკების რაოდენობის შესაფასებლად აპოპროტეინ -B-ს, apo-B-ს განსაზღვრა [18]. ათეროსკლეროზის შესწავლის, ასევე დარღვეული ლიპიდური ცვლის კორექციისა და პროფილაქტიკისათვის [34]. ვინაიდან apo-B-ს მოლეკულა წარმოდგენილია თითოეული ქილომიკრონის, VLDL-ის, IDL-ის, LDL-ისა და Lp(a)-ის ზედაპირზე და რჩება ამ ნაწილაკებზე პლაზმის კომპარტმენტში, მათი მეტაბოლიზმის პროცესის დროს, თუმცა ამ ინდიკატორის განსაზღვრა არ არის შესაძლებელი ყველა კლინიკური ლაბორატორიისთვის და მოითხოვს დამატებით ხარჯებს პაციენტებისგან და ჯანდაცვის სისტემებისაგან. apo-B-ს რელევანტური ჩანაცვლება კლინიკურ პრაქტიკაში ხდება ე.წ. არამაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინ ქოლესტერონის განსაზღვრით (Non-HDL), რომელიც apo-B-ს მსგავსად იძლევა ათეროგენული ლიპოპროტეინების (LDL, Lp-TG)-შეფასებას [18]. თუმცა apo-B-სგან განხვავებით Non-HDL-ის ტესტირება ფართოდ ხელმისაწვდომია და იაფი (Non-HDL= TC-HDL).

ბოლოდროინდელი მტკიცებულებები მხარს უჭერს Non-HDL ქოლესტერონის როლს, როგორც უფრო მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს და მკურნალობის სამიზნეს, ვიდრე LDL-C-ს, განსაკუთრებით დიაბეტის, მეტაბოლური სინდრომის, ინსულინრეზისტენტობის მქონე პაციენტებში [18].

2020 წელს 19 ქვეყანაში ჩატარებული მრავალეროვნული კვლევების შედეგად, რომელიც შეეხებოდა კარდიოვასკულარული რისკის შესაფასებლად Non-HDL გამოყენებას, დადასტურდა, რომ ეს მაჩვენებელი მჭიდრო კავშირშია ათეროსკლეროზული დაავადებების გრძელვადიან რისკთან. სწორედ Non-HDL განიხილება როგორც ათეროგენული ლიპოპროტეინების ჭარბი კონცენტრაციის საუკეთესო ინდიკატორი პაციენტებში, რომელთაც გამოუვლინდათ ზომიერი ან მძიმე ჰიპერტრიგლიცემია. ევროპის კარდიოლოგიური საზოგადოება და ევროპის ათეროსკლეროზის საზოგადოება დისლიპიდემიის შესახებ [18] რეკომენდაციას უწევს Non-HDL-ის განსაზღვრას ათეროსკლეროზის რისკის შესაფასებლად, განსაკუთრებით პაციენტებში მაღალი TG-თი, შაქრიანი დიაბეტით ტიპი 2-სიმსუქნით. ასევე პაციენტებში, რომელთაც სისხლში ძალიან დაბალი LDL-ქოლესტერონი აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ LDL-C რჩება დისლიპიდემიის პირველად სამიზნედ, ახალი რეკომენდაციებითაც, Non-HDL-ის როლი მკვეთრად გამოიკვეთა ათეროსკლეროზის განვითარების რისკებში [19]. ის შედის ათეროსკლეროზული და კარდიოვასკულარული დაავადებით გამოწვეული ფატალური და არაფატალური გულ-სისხლძარღვთა მოვლენების 10 წლიანი რისკების შესაფასებელ სქემაში SCORE-2 და SKORE-2 OP.

ჰიპერტრიგლიცერიემიის ფარმაკოთერაპია. სტატინები რეკომენდებულია როგორც პირველი რიგის პრეპარატები, მაგრამ თუ სისხლში TG-ს დონე 2,3მმოლ/ლ-ზე მაღალია, ან TG 1,7-2,3 მმოლ/ლ-ის ფარგლებშია, თერაპიას უნდა დაემატოს [ფენოფიბრატი] [18,34]. ფიბრატები ზრდის ცხიმოვანი მუჟავეების უანგვასა და LpL-ას სინთეზს, ასევე აქვეითებს apo C-III-ის ექსპრესიას (რომელიც არღვევს ლიპოლიზს და Lp-TG-ის კლირენს), ეს პროცესები კი იწვევს VLDL ტრიგლიცერიდების წარმოქმნის დაქვეითებას და ტრიგლიცერიდებით მდიდარი ლიპოპროტეინების LpL-ით (ლიპოპროტეინლიპაზა) კატაბოლიზმის მატებას [36]. ფენოფიბრატი, რომელსაც გავლენა არ აქვს სტატინების მეტაბოლიზმზე და ხასიათდება მიოპათიის განვითარების უფრო დაბალი რისკით, წარმოადგენს სტატინებთან კომბინაციაში გამოსაყენებელი ფიბრატის სასურველ ფორმას. ფენოფიბრატები ამცირებს LDL-ის რაოდენობას 50-20%-ით, TG-ს -20-50%-ით, (შედარებისთვის: სტატინები ამცირებს TG-ის რაოდენობას 7-20%-ით, ხოლო ეგეტემიბი საერთოდ არ ცვლის TG-ის დონეს). ფიბრატები ზრდის HDL-ის დონეს დაახლოებით 10-20%-ით (შედარებისთვის სტატინები ზრდის HDL-C-ის დონეს 5-10%-ით, ეგეტემიბი 3-5%-ით. გარდა ლიპიდურ სპექტრზე ზემოქმედებისა, ფენოფიბრატს აქვს უნარი პლეოტროპული ეფექტები სხვა მეტაბოლურ პროცესებზეც, მაგ. პურიულ ცვლაზე - ამცირებს შარდმუჟას დონეს დაახლოებით 25%-ით, მოქმედებს ანთებით პროცესებზე (ამცირებს „C“ რეაქტიულ ცილას 34%-ით, ფიბროგენს 21%-ით [34].

2022 წელს გამოქვეყნებულმა კორეის პოპულაციაზე დაფუძნებულმა კოჰორტულმა კვლევამ დაადასტურა, რომ კომბინირებულ თერაპიაზე (სტატინი+ფიბრატი) მყოფ პაციენტებში კარდიოვასკულარული მიზეზით სიკვდილიანობის სიხშირე უფრო დაბალი იყო ვიდრე პაციენტებში, რომლებიც იღებდნენ მხოლოდ სტატინებს [37]. M. Kay, kcioglu-ს და სხვა ავტორების მიერ ჩატარებულმა კლინიკურად ინფორმატიულმა კვლევამ აჩვენა, რომ სტატინებთან ერთად ფიბრატების (კერძოდ ფენოფიბრატების) გამოყენებამ ტრიგლიცერიდების (TG-ის) დონე შეამცირა დაახლოებით 88,2%-ით, Non-HDL-ის - 73,2%-ით - სერიოზული გვერდითი ეფექტების გარეშე [38]. რამაც საფუძველი დაუდო პოპულაციაზე დაფუძნებულ მომავალ პერსპექტიულ კვლევებს, რომელიც შეისწავლის TG-ას და Non-HDL ქოლესტერინის მნიშვნელობას, როგორც CVD-ის შემცირების ეფექტურ, მარტივ პროგნოზულად სტრატეგიულ სამიზნეს.

დასკვნა: კარდიოვასკულური დავადებები (CVD) აქტუალობას არ კარგავს. ამაზე მიუთითებს 2021 წლის ევროპის კარდიოლოგიური საზოგადოების კარდიოვასკულური დაავადების შემცირების გაიდლაინი. აქამდე ფართოდ დანერგილი კარდიოვასკულური დაავადების ფატალური რისკის SKORE ცხრილის შეცვლა SKORE-2 და SKORE OP (OLD PERSON) ცხრილებით, სადაც საერთო ქოლესტერონი ჩაანაცვლა non-DHL-მა, როგორც ათეროსკლეროზის ნარჩენი რისკის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა პრედიქტორმა. წამოიჭრა საკითხი იმაზე, რომ დისლიპიდემიის თერაპია ექვემდებარებოდა გადახედვას, სურათს ამძაფრებდა ბოლო წლებში მეტაბოლური სინდრომის, სიმსუქნის, შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2 დიაგნოზიანი პაციენტების ზრდა, რომელთა სისხლში (TG)-ის და LDL-C-ის დონის მატება საკმაოდ მაღალი იყო. მაშინ როდესაც ჰიპოლიპიდემური (მაღალი ინტენსიობის სტატინები, ეგეტემიბი, მონოკლონული ანტისხეულები) საშუალებით მნიშვნელოვნად (ნორმამდე და მის ქვევითაც) მცირდება LDL-ის დონე.

პრაქტიკული რეკომენდაციები. მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ჰიპერ-ტრიგლიცერიდების სამკურნალოდ სანცის ეტაპზე რეკომენდებულია ცხოვრების ჯანსაღი წესით თერაპია და კვების მონტორინგება (მარტივი ნახშირწყლებისა და შაქრის, კერძოდ ფრუქტოზის შემცველი სასმელების ამოღება კვების რაციონიდან), ხოლო მძიმე და ძალიან მძიმე HTG-ის შემთხვევაში საჭიროა მედიკამენტოზური მკურნალობა, სადაც პირველი რიგის სამკურნალო საშუალებად რეკომენდებულია ფიბრატის გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. WHO (2021). Cardiovascular Diseases (CVDs). URL: [https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/cardiovascular-diseases-\(cvds\)](https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/cardiovascular-diseases-(cvds)) (date of access January 26, 2023)
2. Ference B.A., Ginsberg H.N., et al. Low-density lipoproteins cause atherosclerotic cardiovascular disease. 1. Evidence from genetic, epidemiologic, and clinical studies. A consensus statement from the European Atherosclerosis Society Consensus Panel // *Eur. Heart J.* 2017. Vol. 38, N 32. P. 2459–2472.
3. Wojcik C. Emerging lipid lowering agents targeting LDL cholesterol. *Postgrad Medicine.* 2020;132(5):433-40
4. Mach F, Baigent C, Catapano AL, Koskinas KC, et al. 2019 ESC/EAS Guidelines for the management of dyslipidaemias: lipid modification to reduce cardiovascular risk. *European Heart Journal.* 2020;41(1):111–88. DOI: 10.1093/eurheartj/ehz455 10.1080/00325481.2020.17514228.
5. Maron DJ, Hochman JS, Reynolds HR, Bangalore S, O'Brien SM, Boden WE et al. Initial Invasive or Conservative Strategy for Stable Coronary Disease. *New England Journal of Medicine.* 2020;382(15):1395–407. DOI:10.1056/NEJMoa19159229.
6. Bershteyn L.L., Zbyshevskaya E.V., Katamadze N.O., Andreeva A.E. et al. ISCHEMIA –the Largest Ever Randomized Study in Stable Coronary Artery Disease. Baseline Characteristics of Enrolled Patients in One Russian Site. *Kardiologiia.* 2017;57(10):12–9.
7. Sabatine MS, Giugliano RP, Keech AC, et al. Evolocumab and Clinical Outcomes in Patients with Cardiovascular Disease. *New England Journal of Medicine.* 2017;376(18):1713–22. DOI:10.1056/NEJMoa1615664
8. Giugliano RP, Pedersen TR, Park J-G, De Ferrari GM, et al. Clinical efficacy and safety of achieving very low LDL-cholesterol concentrations with the PCSK9 inhibitor evolocumab: a prespecified secondary analysis of the FOURIER trial. *The Lancet.* 2017; 390 (10106): 1962–71.
9. Generoso G., Janovsky C.C.P.S, Bittencourt M.S. Triglycerides and triglyceride rich lipoproteins in the development and progression of atherosclerosis // *Curr. Opin. Endocrinol. Diabetes Obes.* 2019. Vol. 26, N 2. P. 109–116. DOI: <https://www.doi.org/10.1097/MED.0000000000000468>
10. Nordestgaard L.T., Christoffersen M., Afzal S. et al. Triglycerides as a shared risk factor between dementia and atherosclerotic cardiovascular disease: a study of 125 727 individuals // *Clin.Chem.* 2021. Vol. 67, N 1. P. 245–255. DOI: <https://www.doi.org/10.1093/clinchem/hvaa26>
11. Sarwar N, Danesh J, Eiriksdottir G, Sigurdsson G, Wareham N, Bingham S, Boekholdt SM, Khaw KT, Gudnason V 2007 Triglycerides and the risk of coronary heart disease: 10,158 incident cases among 262,525 participants in 29 Western prospective studies. *Circulation* 115:450–458
12. Patel A, Barzi F, Jamrozik K, Lam TH, Ueshima H, Whitlock G, Woodward M; Asia Pacific Cohort Studies Collaboration 2004 Serum triglycerides as a risk factor for cardiovascular diseases in the Asia-Pacific region. *Circulation* 110:2678–268
13. Tirosch A, Rudich A, Shochat T, Tekes-Manova D, Israeli E, Henkin Y, Kochba I, Shai I 2007 Changes in triglyceride levels and risk for coronary heart disease in young men. *Ann Intern Med* 147: 377–385
14. Danesh J, Erqou S, Walker M, Thompson SG, et al. 2007 The Emerging Risk Factors Collaboration: analysis of individual data on lipid, inflammatory and other markers in over 1.1 million participants in 104 prospective studies of cardiovascular diseases. *Eur J Epidemiol* 22:839–869
15. Nordestgaard BG, Benn M, Schnohr P, Tybjaerg-Hansen A 2007 Non fasting triglycerides and risk of myocardial infarction, ischemic heart disease, and death in men and women. *JAMA* 298:299–308
16. Teslovich T.M., Musunuru K., Smith A.V. et al. Biological, clinical and population relevance of 95 loci for blood lipids//*Nature.* 2010. Vol. 466, N7307. P.707–713. DOI: <https://www.doi.org/10.1038/nature0927>
17. Schunkert H., König I.R., Kathiresan S. et al. Large-scale association analysis identifies 13 new susceptibility loci for coronary artery disease // *Nat. Genet.* 2011. Vol. 43, N 4. P. 333–338.
18. Mach F, Baigent C, Catapano A.L. et al. 2019 ESC/EAS Guidelines for the management of dyslipidaemias: lipid modification to reduce cardiovascular risk // *Eur. Heart J.* 2020. Vol. 41, N 1. P.111–188.

19. Visseren F.L.J., Mach F., Smulders Y.M. et al. 2021 ESC Guidelines on cardiovascular disease prevention in clinical practice // *Eur. Heart J.* 2021. Vol. 42,
20. Российские клинические рекомендации по нарушениям липидного обмена, утвержденные Минздравом России (2023г.). URL: https://cr.minzdrav.gov.ru/recomend/752_134. P. 3227–3337. DOI: <https://www.doi.org/10.1093/eurheartj/ehab484>
21. Zhang B.H., Yin F., Qiao Y.N. et al. Triglyceride and triglyceride-rich lipoproteins in atherosclerosis // *Front. Mol. Biosci.* 2022. Vol. 9. P. 909151.
22. De Carvalho C.C.C.R., Caramujo M.J. The various roles of fatty acids // *Molecules.* 2018. Vol. 23, N10. P. 2583. DOI: <https://www.doi.org/10.3390/molecules23102583> org/10.3389/fmolb.2022.909151
23. Nordestgaard B.G., Benn M., Schnohr P. et al. Nonfasting triglycerides and risk of myocardial infarction, ischemic heart disease, and death in men and women // *JAMA.* 2007. Vol. 298, N 3. P. 299–308. DOI: <https://www.doi.org/10.1001/jama.298.3.299>
24. Fruchart J.C., Santos R.D., Aguilar-Salinas C. et al. The selective peroxisome proliferator-activated receptor alpha modulator (SPPARM α) paradigm: conceptual framework and therapeutic potential: A consensus statement from the International Atherosclerosis Society (IAS) and the Residual Risk Reduction Initiative (R3i) Foundation // *Cardiovasc. Diabetol.* 2019. Vol. 18, N1. P71
25. Masuda D., Yamashita S. Postprandial hyperlipidemia and remnant lipoproteins // *J. Atheroscler. Thromb* 2017. Vol. 24, N2. P. 95–109. DOI: <https://www.doi.org/10.5551/jat.RV16003g>/10.1186/s12933-019-0864-7
26. Fogelstrand P., Borén J. Retention of atherogenic lipoproteins in the artery wall and its role in atherogenesis // *Nutr. Metab. Cardiovasc. Dis.* 2012. Vol. 22, N1. P. 1–7. DOI: <https://www.doi.org/10.1016/j.numecd.2011.09.007>
27. Zhang X., Sessa W.C., Fernández-Hernando C. Endothelial transcytosis of lipoproteins in atherosclerosis // *Front. Cardiovasc. Med.* 2018. Vol. 5. P. 130. DOI: <https://www.doi.org/10.3389/fcvm.2018.00130>
28. Ginsberg H.N., Packard C.J., et al. Triglyceride-rich lipoproteins and their remnants: metabolic insights, role in atherosclerotic cardiovascular disease, and emerging therapeutic strategies—a consensus statement from the European Atherosclerosis Society // *Eur. Heart J.* 2021;42(47):4791–4806.
29. Toth P.P. Triglycerides and atherosclerosis: bringing the association into sharper focus // *J. Am. Coll. Cardiol.* 2021. Vol. 77, N 24. P. 3042–3045.
30. Norata G.D., Tsimikas S., et al. Apolipoprotein C-III: from pathophysiology to pharmacology // *Trends Pharmacol. Sci.* 2015;36(10):675–687. DOI: <https://www.doi.org/10.1016/j.tips.2015.07.001>
31. Tabas I, Williams KJ, Boren J. 2007 Subendothelial lipoprotein retention as the initiating process in atherosclerosis: update and therapeutic implications. *Circulation* 116:1832–1844
32. Kannel WB, Vasan RS. 2009 Triglycerides as vascular risk factors: new epidemiologic insights. *Curr Opin Cardiol.* 24:345–350
33. National Cholesterol Education Program (NCEP) Expert Panel on Detection, Evaluation, and Treatment of High Blood Cholesterol in Adults (Adult Treatment Panel III). Third Report of the National Cholesterol Education Program (NCEP) Expert Panel on Detection, Evaluation, and Treatment of High Blood Cholesterol in Adults (Adult Treatment Panel III) final report // *Circulation.* 2002. Vol. 106, N 25. P. 3143–3421
34. Кухарчук В.В., Ежов М.В., Сергиенко И.В. и др. Клинические рекомендации Евразийской ассоциации кардиологов (ЕАК) / Национального общества по изучению атеросклероза (НОА) по диагностике и коррекции нарушений липидного обмена с целью профилактики и лечения атеросклероза (2020) // *Евразийский кардиологический журнал.* 2020. № 2. С. 6–29.
35. Nordestgaard B.G., Langsted A., Mora S. et al. Fasting is not routinely required for determination of a lipid profile: clinical and laboratory implications including flagging at desirable concentration cut-points—a joint consensus statement from the European Atherosclerosis Society and European Federation of Clinical Chemistry and Laboratory Medicine // *Eur. Heart J.* 2016. Vol. 37, N 25. P. 1944–1958. DOI: <https://www.doi.org/10.1093/eurheartj/ehw152>

36. Abourbih S, Filion KB, Joseph L, et al. 2009 Effects of fibrates on lipid profiles and cardiovascular outcomes: a systematic review. *Am J Med* 122:962.e1–962.e8
37. Kim K.S., Hong S., Han K. et al. Fenofibrate add-on to statin treatment is associated with low all-cause death and cardiovascular disease in the general population with high triglyceride levels // *Metabolism*. 2022. Vol. 137. P. 155327.
38. Kayıkçıoğlu M., Shahbazova S., et al. Cumulative non-HDL cholesterol burden in patients with hypertriglyceridemia receiving long-term fibrate therapy: Real life data from a lipid clinic cohort // *Turk. Kardiyol. Dern. Ars.* 2020; 48(4):3367.
<https://www.doi.org/10.5543/tkda.2019.25169> <https://www.doi.org/10.1016/j.metabol.2022.155327>

მარიამ მორჩილაძე¹, გიორგი ჟორჯოლიანი¹, თამილა სილაგაძე¹, მარინა ყუფარაძე¹,

ნატალია ვარუჩავა¹, ია ავალიანი², ზაზა ბერიძე³

ტრიგლიცერიდების ახლებულად შეფასებული შესაძლებლობები

და ათეროსკლეროზის ნარჩენი რისკი

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ²თბილისის სამედიცინო აკადემია, ³გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

რეზიუმე

ათეროსკლეროზული კარდიოვასკულური დავადებებით (CVD) გამონვეული ავადობა და სიკვდილიანობა თანამედროვე მედიცინის ძირითადი გამოწვევაა. ვრცელმა ეპიდემიოლოგიურმა, გენეტიკურმა და კლინიკურ მონაცემთა პროსპექტულმა კვლევებმა ნათლად აჩვენა, რომ LDL-ქოლესტერონი არის ათეროსკლეროზის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის განმსაზღვრელი. უკანასკნელ წლებში აქტიური ჩარევით მოხდა LDL-C-ის დონის შემცირება. მიუხედავად ამისა, პაციენტთა გარკვეულ ნაწილში მაინც დარჩა ათეროსკლეროზისა და გულ-სისხლძარღვთა დავადებების (CVD) განვითარების ე.წ. ნარჩენი (რეზიდუალური) რისკი. ამის ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია სისხლის შრატში ტრიგლიცერიდების (HTG) და ტრიგლიცერიდების შემცველი ლიპოპროტეინების (Lp-TG) დონის მომატება.

კვლევის მიზნები: ამ მიმოხილვითი სტატიის კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის ჩვენება, რომ მიუხედავად დისლიპიდემიის მკურნალობის პროცესში ტრიგლიცერიდების და ტრიგლიცერიდების შემცველი ლიპოპროტეინების (Lp-TG) დონის შესამცირებელ ფართოდ შესწავლილ და გამოყენებულ ფარმაცოლოგიურად საყოველთაოდ აღიარებული საშუალებებისა, პრობლემის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, დაგროვილ კითხვებზე პასუხი გასაცემია, აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება და ახალი პერსპექტივების ძიება. სტატიაში განხილულია კავშირი ტრიგლიცერიდების (TG) და ტრიგლიცერიდების შემცველი ლიპოპროტეინების (LpTG) დონის მატებასა და ათეროსკლეროზის ნარჩენი რისკს შორის.

კვლევის მასალები და მეთოდები. ათეროსკლეროზული დაავადებებით გამონვეული ავადობა და სიკვდილიანობა აქტუალობას არ კარგავს. ამაზე მიუთითებს 2021 წლის ევროპის კარდიოლოგიური საზოგადოების კარდიოვასკულური დაავადების შემცირების გაიდლაინი. ნაშრომში მოძიებულია კვლევები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ LDL-C-ის სამიზნე დონის მიღწევის მიუხედავად, მაინც რჩება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების განვითარების ნარჩენი რისკი. სტატიაში განხილულია შრომების საფუძველზე დგინდება კავშირი ტრიგლიცერიდების (TG) და ტრიგლიცერიდების შემცველი ლიპოპროტეინების დონის მატებასა და ათეროსკლეროზის განვითარების რისკს შორის. მიუხედავად იმისა, რომ LDL-C-ის დონის შემცირება დისლიპიდემიის ფარმაცოთერაპიის ქვაკუთხედი, სტატიაში შევხებით TG-ის დამაქვეითებელი საშუალებების მიმდინარე შედეგებს და ამ თერაპიაში ფიბრატების როლს, რომლებიც თანამედროვე გაიდლაინებით აღიარებულია TG-ის დონის შემამცირებელ ყველაზე ეფექტურ კლასად.

დასკვნა: კარდიოვასკულური დავადებები (CVD) აქტუალობას არ კარგავს. ამაზე მიუთითებს ევროპის კარდიოლოგიური საზოგადოების კარდიოვასკულური დაავადების შემცირების გაიდლაინი. რეკომენდებულია აქამდე ფართოდ დანერგილი კარდიოვასკულური

დაავადების ფატალური რისკის SKORE ცხრილის ჩანაცვლება SKORE-2 და SKORE OP (OLD PERSON) ცხრილებით, სადაც საერთო ქოლესტერინი შეცვალა non-DHL-მა, როგორც ათეროსკლეროზის ნარჩენი რისკის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა პრედიქტორმა. გადამწყდა, რომ დისლიპიდემიის თერაპია საჭიროებდა კორექციას, მითუმეტეს ბოლო წლებში მეტაბოლური სინდრომის, სიმსუქნის, შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2 დიაგნოზით პაციენტების ზრდა სურათს ამძაფრებდა, რადგანაც მათ სისხლში (TG)-ის და LDL-C-ის დონის მატება საკმაოდ მაღალი იყო. მაშინ როდესაც ჰიპოლიპიდემური (მაღალი ინტესიობის სტატინები, ეზეტიმიბი, მონოკლონული ანტისხეულები) საშუალებით მნიშვნელოვნად (ნორმამდე და მის ქვევითაც) მცირდებოდა LDL-ის დონე. პრაქტიკული რეკომენდაციებით, მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ჰიპერტრიგლიცერიდების სამკურნალოდ სანცის ეტაპზე პაციენტებს ურჩევნია ცხოვრების ჯანსაღი წესით თერაპიას და კვების მონიტორინგს (მარტივი ნახშირწყლებისა და შაქრის, კერძოდ ფრუქტოზის შემცველი სასმელების ამოღება კვების რაციონიდან), ხოლო მძიმე და ძალიან მძიმე HTG-ის შემთხვევაში საჭიროა მედიკამენტოზური მკურნალობა, სადაც პირველი რიგის სამკურნალო საშუალებად რეკომენდებულია ფიბრატის გამოყენება.



*ნატო კორსანტია ^{1,4}, ნინო კორსანტია ¹, თეა კაციტაძე ², ლელა ბერიძე ³, ალექსანდრე კაციტაძე ^{1,4},
ნინო ნიკურაძე ^{1,4}, თამარ გოგინაშვილი ⁴, მაკა ბიბიჩაძე ⁴*

ბეჰცეტის დაავადება/სინდრომი - კლინიკური შემთხვევა და ლიტერატურის მიმოხილვა

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ²შპს „ჯანმრთელობის ინსტიტუტი“, ³ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო; ⁴თსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.05.13>

*NATO KORSANTIA ^{1,4}, NINO KORSANTIA ¹, TEA KATSITADZE ², LELA BERIDZE ³,
ALEXANDER KATSITADZE ^{1,4}, NINO NIKURADZE ^{1,4}, TAMAR GOGINASHVILI ⁴,
MAKA BIBICHADZE ⁴*

BEHCET'S DISEASE/SYNDROME – CASE REPORT AND LITERATURE REVIEW

¹ Tbilisi State Medical University, ² „Health Institute“ LTD, ³ Batumi Republic Clinical Hospital;

⁴ TSMU First University Clinic

SUMMARY

The paper presents a clinical case - a 35-year-old woman from Batumi, with a Behcet's disease. The diagnosis was confirmed on the basis of a clinical picture and criteria. After the course of systemic and topical corticosteroids, remission was achieved. After 1 year there was no recurrence. The patient is warned of possible recurrence and was given advice.

Behcet's syndrome is a rare multisystem inflammatory disorder characterized by ulcers affecting the mouth and genitals, various skin lesions and abnormalities affecting the eyes. Additional systems of the body may also be affected including the joints, blood vessels, central nervous system and/or digestive tract. The exact cause of Behcet's syndrome is unknown.

Keywords: Behcet's disease, literature review, case report

კლინიკური შემთხვევა: პაციენტი, 35 წლის ქალი, თ.ა. ქ. ბათუმიდან, კლინიკაში შემოვიდა თვითღინებით. როგორც ანამნეზიდან გაირკვა, ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში, თავდაპირველად პირის ღრუში, ენის მარცხენა მხარეს შეამჩნია პატარა მტკივნეული წყლული.

მიმართა სტომატოლოგს, რომელმაც დაუსვა ჰერპესული სტომატიტის დიაგნოზი და დაუნიშნა ჰერპესის სანინაალმდევო თერაპია აციკლოვირით. თუმცა ელემენტი კი არ გაქრა, არამედ მის გვერდით გაჩნდა კიდევ რამოდენიმე მსგავსი და შეერთდა ერთ დიდ მტკივნეულ წყლულად. პაციენტი გადავიდა თხევად, გრილ საკვებზე, დაიკლო წონაში. ამასთან ერთად დაეწყო უსიამოვნო შეგრძნება საშოს მიდამოში და პიგმენტური ელემენტები წვივების წინა ზედაპირზე, რის გამოც უკვე მომართა ჩვენს კლინიკას.

ობიექტურად პაციენტს ენის მარცხენა მხარეს აღენიშნებოდა შესქელებულ ფუძეზე 12 მმ ზომის მტკივნეული წყლული. საშოზე 3 ცალი 5-7 მმ ზომის წყლული. წვივების წინა ზედაპირზე დიდი ზომის ჰიპერპიგმენტური ბალთები. ანამნეზის შეკრებისას ყურადღება მიიპყრო ბოლო თვეებში მხედველობის გაუარესებამ და სახსრების ტკივილების ეპიზოდებმა.

ჩატარდა დიფერენცირება პირის ღრუსა და გენიტალიების სხვა გენების წყლულებთან. სისხლი შემოწმდა ათაშანგზე და შიდსზე, ასევე მარტივი ჰერპესის 1 და 2 ტიპის ვირუსებზე. განხორციელდა ელემენტების ციტოლოგიური კვლევა აკანტოლიზზე და ატიპიურ უჯრედებზე. ყველა პასუხი იყო უარყოფითი. ოფთალმოლოგის კონსულტაციით დადგინდა უკანა უვეიტი.

მკურნალობის საწყის ეტაპზე დაინიშნა სისტემურად პოლკორტოლონი და ადგილობრივად ცელესტოდერმის მალამო, პირის ღრუში ლიდოკაინის შემცველი სავლები და სოლკოსერილის გელი. უვეიტის სამკურნალოდ კორტიკოსტეროიდების შემცველი თვალის წვეთები გუგის გამათვართოებელ პრეპარატებთან კომბინაციით. მკურნალობის დაწყებიდან ორ კვირაში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. შემცირდა წყლულების ფართობი და მეოთხე კვირის ბოლოს შეხორცდა ნაწიბურის გარეშე. მკურნალობიდან 1 წლის შემდეგ არ დათქმირებულა რეციდივი, მაგრამ პაციენტი გაფრთხილებულია შესაძლო რეციდივზე და მიეცა რჩევა რაციონიდან ამოეღო გამაღიზიანებელი საკვები და სასმელი, ასევე ორგანიზმზე სხვა სტრესული გავლენის შემცირება.

ლიტერატურის მიმოხილვა. ბეჰჩეტის დაავადება პირველად 1937 წელს აღწერა ჰულუსი ბეჰჩეტმა სტამბოლიდან, რომელმაც წარმოადგინა სამი პაციენტი პირის ღრუს და სასქესო ორგანოების წყლულით, უვეიტით და კვანძოვანი ერითემით. სხვა კლინიკური ნიშნები მოგვიანებით გამოვლინდა და დაემატა დაავადების სპექტრს [1].

ბეჰჩეტის სინდრომი იშვიათი მრავალსისტემური ანთებითი დაავადებაა, რომელიც ხასიათდება პირის ღრუსა და სასქესო ორგანოებზე ლოკალიზებული წყლულებით, კანის სხვადასხვა დაზიანებებითა და თვალების ანომალიებით (წინა უვეიტი, უკანა უვეიტი, პანუვეიტი). სიმპტომები ქრონიკულია, დროთა განმავლობაში ქრება და სპონტანურად მეორდება. შესაძლოა დაზინდეს დამატებითი სისტემები, მათ შორის სახსრები, სისხლძარღვები, ცენტრალური ნერვული სისტემა და/ან საჭმლის მომწელებელი ტრაქტი. ბეჰჩეტის სინდრომის ზუსტი მიზეზი უცნობია [3].

ბეჰჩეტის დაავადების ყველაზე ადრეული სიმპტომია მტკივნეული წყლულები პირის ღრუს ლორწოვან გარსზე (აფთოზური სტომატიტი). წყლულები, როგორც წესი, მრგვალი ან ოვალურია, მონითალო, ერითემატოზული საზღვრებით, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს პირის ღრუში ნებისმიერ ადგილას. ისინი შეიძლება იყოს ნაკლებად ღრმა ან ღრმა, როგორც ერთი ან მრავლობითი დაზიანებების კლასტერი. წყლულები ჩვეულებრივ ხორცდება რამდენიმე დღეში ან კვირაში, ნაწიბურების გარეშე, მაგრამ ხშირად მეორდება. ისინი შეიძლება წინ უსწრებდეს ბეჰჩეტის სინდრომის სხვა სიმპტომებს რამდენიმე წლითაც კი. ზოგჯერ მსგავსი წყლულები შეიძლება გამოჩნდეს სასქესო ორგანოებზე, განსაკუთრებით მამაკაცებში სასქესო ასოსა და სათესლე პარკზე, ხოლო ქალებში საშოზე. ეს წყლულები ასევე მრგვალი და მტკივნეულია, მაგრამ შეიძლება იყოს უფრო დიდი და ღრმა, ვიდრე პირის ღრუში და პირის ღრუს დაზიანებებისგან განსხვავებით, შეიძლება ნაწიბურისკენ მიდრეკილი იყოს [5].

ბეჭეტის სინდრომმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს თვალეზზეც. სიმპტომები შეიძლება მოიცავდეს თვალის უკანა ნაწილის ანთებას (უკანა უვეიტი) და თვალის წინა ნაწილის ანთებას (წინა უვეიტი ან ირიდოციკლიტი). ასევე შეიძლება მოხდეს ირისის ანთება, რომელსაც თან ახლავს ტკივილი, ცრემლდენა და ჩირქის დაგროვება. ბადურაზე შესაძლო ანთებითი პროცესის გამო ვითარდება მხედველობის დაბინდვა, სინათლის მიმართ არანორმალური მგრძობელობა (ფოტოფობია) და/ან ბადურის უკან სისხლძარღვების თხელი მემბრანული ფენის ანთება (ქორიორეტინიტი). მიუხედავად იმისა, რომ დაზიანებები, რომლებიც იწვევენ ანთებას თვალის სხვადასხვა ნაწილში, შეიძლება გაქრეს, განმეორებითა პროცესებმა შეიძლება გამოიწვიოს მხედველობის ნაწილობრივი დაკარგვა ან სრული სიბრმავე. ზოგიერთ შემთხვევაში, თვალის ანთებები შეიძლება იყოს ბეჭეტის სინდრომის პირველი სიმპტომი. სხვა შემთხვევებში, ისინი შეიძლება განვითარდეს რამდენიმე წლის შემდეგ [7].

ბეჭეტის სინდრომის მქონე ადამიანებში შესაძლოა გამოვლინდეს მცირე ზომის ჩირქმბადების (პუსტულების) ფორმირება კანზე. ზოგიერთ პირს, განსაკუთრებით ქალებს, შეიძლება განუვითარდეს დაზიანებები, რომლებიც წააგავს კვანძოვან ერითემას, კანის დაავადებას, რომელიც ხასიათდება ნაზი, მონითალო, ანთებითი კვანძების წარმოქმნით წველების წინა ზედაპირზე. ეს კვანძები თავისთავად ქრება (სპონტანურად), ზოგჯერ ტოვებს მკრთალ ნაწიბურებს ან ჰიპერპიგმენტაციას. ბეჭეტის სინდრომის მქონე ზოგიერთ ადამიანს შეიძლება განუვითარდეს მცირე გამონაყარი, რომლებიც წააგავს აკნეს და/ან ფსევდოფოლიკულიტს [1].

ბეჭეტის სინდრომის შემთხვევების დაახლოებით 50 პროცენტში დაზარალებულ პირებს აღენიშნებათ ართრალგია და პოლიართრიტი. ეს შეიძლება მოხდეს ბეჭეტის სინდრომთან დაკავშირებული სხვა სიმპტომების დაწყებამდე, დროს ან მის შემდეგ. ტკივილი, რომელიც შეიძლება მერყეობდეს მსუბუქიდან მძიმემდე, ჩვეულებრივ აზიანებს მუხლების, მჯახის, იდაყვის და ტერფის სახსრებს და შეიძლება ქრონიკული გახდეს. დაზიანებული სახსრების ხანგრძლივი დაზიანება ძალზედ იშვიათია [2].

ბეჭეტის სინდრომის მქონე პირებს ასევე შეიძლება ჰქონდეთ მორეციდივე წყლულები საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. სიმპტომები მერყეობს მუცლის მსუბუქი დისკომფორტიდან მსხვილი ნაწლავისა და სწორი ნაწლავის მძიმე ანთებამდე, რომელსაც თან ახლავს ღიარეა ან სისხლდენა [8].

ბეჭეტის სინდრომის მქონე პირთა დაახლოებით 10%-20%-ს ასევე აღენიშნება ცენტრალური ნერვული სისტემის ჩართვა. ეს სიმპტომები ჩვეულებრივ ვლინდება ბეჭეტის სინდრომის საწყისი სიმპტომებიდან თვეების ან წლების შემდეგ. თავის ტვინში (პარენქიმული ნირო-ბეჭეტი) ან თავის ტვინს ან ზურგის ტვინს გარშემორტყმული მემბრანების (მენინგიტი ან მენინგოენცეფალიტი) ჩართვის განმეორებადმა ანთებითმა შეტევებმა შეიძლება გამოიწვიოს ნევროლოგიური დაზიანება. სიმპტომები შეიძლება მოიცავდეს თავის ტკივილს, ცერებრულ ატაქსიას, სახის და ყელის კუნთების მოძრაობის დარღვევას, ინსულტს და/ან იშვიათად კრუნჩხვებს [7].

ბეჭეტის სინდრომი იწვევს ვასკულიტს. ითვლება, რომ მცირე სისხლძარღვების ჩართვა იწვევს იმ უამრავ პრობლემას, რომელსაც ეს სინდრომი იწვევს. ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვილი ვენების ანთება, განსაკუთრებით კი ფეხებში შეიძლება მოხდეს სისხლის შედედების წარმოქმნასთან ერთად (თრომბოფლებიტი). იშვიათ შემთხვევებში, ვენებიდან სისხლის შედედება გადადის ფილტვებში (ფილტვის ემბოლია), რაც იწვევს გულმკერდის ტკივილის ეპიზოდებს, ხველას, სუნთქვის გაძნელებას ან ქოშინს და სისხლიან ხველას [7].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბეჭეტის დაავადების იდენტიფიცირება, როდესაც არსებობს თვალის, ცენტრალური ნერვული სისტემის ან დიდი სისხლძარღვების ჩართულობა, რადგან გამოვლინებები, როგორც წესი, ყველაზე სერიოზულია.

ბეჭეტის სინდრომის ზუსტი მიზეზი უცნობია. კვლევებმა აჩვენა, რომ ზოგიერთ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს გენეტიკური წინასწარგანწყობა. ბეჭეტის სინდრომის მქონე ზოგიერთ პირს, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლური და აზიური წარმოშობის ადამიანებს, აქვთ სისხლში გარკვეული ადამიანის ლეიკოციტური ანტიგენების, HLA-B51, მომატება. HLA-B51-ის შესაძლო როლი ბეჭეტის სინდრომისადმი მიდრეკილ პირებში და მისი საერთო კავშირი ამ აშლილობასთან უცნობია. შესწავლილია სხვა გენეტიკური მარკერები და მათი როლი ბეჭეტის დაავადების განვითარებაში. ვირუსული ან ბაქტერიული ინფექციები ასევე მიჩნეულია სინდრომის სავარაუდო მიზეზად, თუმცა ბოლო დროს, მაინც მკვიდრდება ის აზრი, რომ დაავადება აუტოიმუნური ხასიათისაა, რომლის დროსაც ორგანიზმი კარგავს ანთების სათანადო რეგულირებისა და კონტროლის უნარს [3].

ბეჭეტის სინდრომი იშვიათი დაავადებაა შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში. ის ყველაზე ხშირად გვხვდება ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში, უძველესი სავაჭრო გზების გასწვრივ ხმელთაშუა ზღვის აუზსა და აღმოსავლეთ აზიას შორის, რომელიც ცნობილია როგორც აბრეშუმის გზა. თურქეთში გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (420 შემთხვევა 100000-ზე) [4]; გავრცელების მაღალი მაჩვენებლები აქვთ იაპონიას, კორეას, ჩინეთს, ირანს და საუდის არაბეთს. დაავადება იაპონიაში სიბრძნის მთავარი მიზეზია. დანყების ასაკი, როგორც წესი, 20-დან 40 წლამდეა [2].

შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიაში სინდრომი უფრო ხშირია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში და სიმპტომები ნაკლებად მძიმეა. მამაკაცები შეიძლება უფრო ხშირად დაზარალებდნენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და ჩვეულებრივ აქვთ უფრო მძიმე დაავადება. ცენტრალური ნერვული სისტემის ჩართვა უფრო ხშირია ჩრდილოეთ ევროპისა და შეერთებული შტატების ადგილობრივ მოსახლეობაში.

დიფერენციალური დიაგნოზისთვის მნიშვნელოვანია იმ დაავადებების ცოდნა, რომელთაც ბეჭეტის სინდრომის მსგავსი სიმპტომები ახასიათებს:

პირის ღრუს და გენიტალიუმის ჰერპესული დაზიანება გამოწვეულია მარტივი ჰერპესის პირველი და მეორე ტიპებით. ხასიათდება ლორწოვანზე მტკივნეული ეროზიებით. ვირუსის აქტივაციას ხელს უწყობს იმუნოდეფიციტი და სხვა თანმხლები დაავადებები. ბუშტუკები და ეროზიები შეიძლება სხეულის ნებისმიერ ადგილას ლოკალიზდებოდეს [15].

ვულგარული პემფიგუსი აუტოიმუნური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ლორწოვანი გარსებისა და კანის ბუშტოვანი და ეროზიული ელემენტების განვითარებით. ეტიოპათოგენები არ არის ცნობილი, თუმცა მკვლევარები მიიჩნევენ, რომ გენეტიკური და გარემოს მავნე ფაქტორები შესაძლოა მოქმედებდნენ დაავადების მიმდინარეობაზე. დიაგნოზისთვის მნიშვნელოვანია აკანტოლიზური პროცესის დადასტურება [12].

სტივენს-ჯონსონის სინდრომი კანის იშვიათი დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს დიდი ბულოზური დაზიანებები კანზე და პირის ღრუს, ყელის, ცხვირის, თვალებისა და სასქესო ორგანოების ლორწოვანი გარსებზე. დაზიანებები, როგორც წესი, მტკივნეულია. ასევე შეიძლება მოხდეს თვალის გარსების ანთება და თან ახლდეს გამონადენი. ამან შეიძლება გამოიწვიოს რქოვანას ნაწიბურები და მხედველობის დაკარგვა. ზოგიერთ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ცხელება და სისუსტე [7].

რეაქტიული ართრიტი, ადრე ცნობილი როგორც რეიტერის სინდრომი, არის იშვიათი ინფექციური დაავადება, რომელიც ხასიათდება ართრიტით, საშარდე გზების ანთებით

(არაგონოკოკური ურეთრიტი) და თვალის გარსების ანთებით (კონიუნქტივიტი). დაზიანებები ასევე შეიძლება გამოჩნდეს კანზე და ლორწოვან გარსებზე. ახასიათებს სპონტანური რემისიები და რეციდივები. სიმპტომები შეიძლება მოიცავდეს ჩირქს შარდში, შემუპებულ მტკივნეულ სახსრებს და წყლულს პირის ღრუში, ზოგჯერ ირიტს [7].

სვიტის სინდრომი კანის იშვიათი, უცნობი ეტიოლოგიის დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს მოლურჯო-მონითალო, მკვეთრად გამოკვეთილი, გამაგრებული კიდეებიანი, მტკივნეული გამონაყარი, როგორც წესი, მკლავებზე, სახეზე, კისერზე და ფეხებზე. სვიტის სინდრომის ძირითადი სიმპტომებია კანის მგრძობიარე ან მტკივნეული გამონაყარი და ზოგადი დისკომფორტის შეგრძნება (სისუსტე). ნაწიბურები, როგორც წესი, არ რჩება. რემისია შეიძლება დაიწყოს რამდენიმე კვირაში, რეციდივები იშვიათია. ზოგჯერ პროცესში ერთვება ქალის სასქესო ორგანოები (საშო და საშვილოსნო) [7].

ბეჰჩეტის სინდრომის დიაგნოზისთვის მიღებულია კრიტერიუმები - პირის ღრუს მორეციდივე წყლულების (აფთოზური სტომატიტის) არსებობა მინიმუმ ორ ჩამოთვლილთაგან ერთად: თვალის დაზიანებები, კანის დაზიანებები, მორეციდივე გენიტალური წყლულები და დადებითი პათერგიის ტესტი. პათერგიის ტესტის დროს ექიმი პაციენტს კანზე უჩხვლავს სტერილური ნემსით. დადებით შედეგად ითვლება ჩხვლავიდან 48 საათის განმავლობაში მონითალო კვანძის ან პუსტულას გაჩენა.

დაავადების ჰისტოპათოლოგიური ნიშნებია ვასკულიტი და თრომბოზი. დაზიანებების ბიოფსია აჩვენებს ნეიტროფილების ლომინანტურ რეაქციას ენდოთელიუმის შემუპებით, სისხლის წითელი უჯრედების ექსტრავაზაციით და ლეიკოციტოკლასტური ვასკულიტით სისხლძარღვების კედლების ფიბრინოიდული ნეკროზით. ლიმფოციტური ვასკულიტის არსებობა მიუთითებს ძველ დაზიანებებზე, ხოლო ნეიტროფილური რეაქცია ითვლება ყველაზე ხშირ ნიშნად ბეჰჩეტის დაავადების დროს [16].

ბეჰჩეტის სინდრომის მკურნალობა მიმართულია კონკრეტული სიმპტომებისკენ, რომლებიც ვლინდება თითოეულ პაციენტში. მდგომარეობის სიმძიმემ, ასევე პაციენტის ასაკმა და სქესმა შეიძლება გავლენა იქონიოს მკურნალობის შერჩევაზე. დროთა განმავლობაში ხშირია სპონტანური რემისია.

პირის ღრუს და გენიტალური წყლულების მკურნალობა შეიძლება კორტიკოსტეროიდების შემცველი პრეპარატების ადგილობრივი გამოყენებით. ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებების (მაგ. ლიდოკაინი ან დიფენჰიდრამინი) შემცველი პირის ღრუს სავლები საშუალებები დროებით ამსუბუქებს ტკივილს. კოლხიციანი ეფექტურია პირის ღრუს და გენიტალური წყლულების განმეორებითი შეტევების თავიდან ასაცილებლად. აპრემილასტი FDA-ს დამტკიცებული პრეპარატია პირის ღრუს მორეციდივე წყლულების სამკურნალოდ ბეჰჩეტის მქონე პაციენტებში. მკურნალობისთვის ასევე შეიძლება განიხილებოდეს უფრო აგრესიული თერაპია, როგორცაა აზათიოპრინი, თალიდომიდი, ინტერფერონ-ალფა და ანტი-TNF აგენტები [17].

პირებს, რომლებსაც აქვთ ბეჰჩეტთან დაკავშირებული ართრიტი, შეუძლიათ მიიღონ არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები (ასს) და კოლხიციანი. აზათიოპრინით და ანტი-TNF აგენტებით მკურნალობა შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო აგრესიული ან რეფრაქტერული დაავადების დროს.

თვალის ანთების იდენტიფიცირება მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას ოფთალმოლოგთან, რადგან მკურნალობა ეფუძნება თვალის ანთების ლოკალიზაციას და სიმძიმეს. თერაპია შეიძლება მოიცავდეს თვალის წვეთებს, რომლებიც შეიცავს კორტიკოსტეროიდებს ტკივილის შესამსუბუქებლად. უფრო აგრესიული ან რეფრაქტერული დაავადების დროს, ორალური კორტიკოსტეროიდები კომბინირებული იმუნოსუპრესანტებთან,

როგორცაა აზათიოპრინი ან ანტი-TNF გამოიყენება თვალის დაავადების პროგრესირების გასაკონტროლებლად [7].

სულფასალაზინი, აზათიოპრინი და კორტიკოსტეროიდები შეიძლება დაინიშნოს ბეჭეტთან ასოცირებული კუჭ-ნაწლავის დაზიანებების სამკურნალოდ. ცენტრალური ნერვული სისტემის და სისხლძარღვთა ანომალიების მკურნალობა შეიძლება ასევე კორტიკოსტეროიდებით, ხშირად იმუნოსუპრესიულ აგენტებთან ერთად. მსხვილი სისხლძარღვების შედეგების მქონე პაციენტებში გასათვალისწინებელია სისტემური ანტიკოაგულანტები და იმუნოსუპრესორები.

სახსრების, კანის და/ან ლორწოვანი გარსების ან სხვა ორგანოების ანთება შეიძლება შემცირდეს ორალური კორტიკოსტეროიდული პრეპარატებით. თუმცა, უმჯობესია მათი კომბინაცია იმუნოსუპრესიულ აგენტებთან, როგორცაა აზათიოპრინი, მეტოტრექსატი, ციკლოსპორინი ან ქლორამბუცილი, ასევე ინტერფერონ-ალფასთან და აგენტებთან, რომლებიც თრგუნავენ სიმსივნის ნეკროზის ფაქტორს (TNF) [17].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adil A, Goyal A, Quint JM. Behcet Disease. [Updated 2023 Feb 22]. In: StatPearls [Internet]. Treasure Island (FL): StatPearls Publishing; 2024 Jan. Available from: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK470257/>
2. de Menthon M, Lavalley MP, Maldini C, Guillevin L, Mahr A. HLA-B51/B5 and the risk of Behçet's disease: a systematic review and meta-analysis of case-control genetic association studies. *Arthritis Rheum.* 2009 Oct 15;61(10):1287-96
3. Direskeneli H, Saruhan-Direskeneli G. The role of heat shock proteins in Behçet's disease. *Clin Exp Rheumatol.* 2003 Jul-Aug;21(4 Suppl 30):S44-8
4. Azizlerli G, Köse AA, Sarica R, Gül A, Tutkun IT, Kulaç M, Tunç R, Urgancıoğlu M, Dişçi R. Prevalence of Behçet's disease in Istanbul, Turkey. *Int J Dermatol.* 2003 Oct;42(10):803-6.
5. Mehdipoor G, Davatchi F, Ghoreishian H, et al. Imaging manifestations of Behçet's disease: key considerations and major features. *Eur J Radiol.* 2018;98:214-225.
6. Nanke Y, Yago T, Kotake S. The role of Th17 cells in the pathogenesis of Behçet's disease. *J Clin Med.* 2017;6(7):E74.
7. NORD National Organization for Rare Disorders. Behçet's Syndrom. 2023 <https://rarediseases.org/rare-diseases/behcets-syndrome/>
8. Thais Pincelli, Ronald R. Butendieck, Michael G. Heckman, Habeeba Siddiqui, Alison Bruce. Apremilast for severe recurrent aphthous stomatitis: A prospective pilot study. *JAAD*, Vol 88, Iss2, p459-461. <https://doi.org/10.1016/j.jaad.2022.05.063>
9. van der Houwen TB, van Hagen PM, van Laar JAM. Immunopathogenesis of Behçet's disease and treatment modalities. *Semin Arthritis Rheum.* 2022 Feb;52:151956. doi: 10.1016/j.semarthrit.2022.151956. Epub 2022 Jan 10. PMID: 35038644.
10. NATO KORSANTIA, ALEXANDER KATSITADZE, NINO ADAMASHVILI, NINO TSISKARISHVILI, NATALIA KILADZE, MANANA TEVZADZE, ... TEA KATSITADZE. (2022). POTENTIALLY MALIGNANT DISORDERS OF THE ORAL CAVITY – CLINICAL FEATURES. *Experimental and Clinical Medicine Georgia*, (3). <https://doi.org/10.52340/jecm.2022.03.13>
11. Mattioli I, Bettiol A, Saruhan-Direskeneli G, Direskeneli H, Emmi G. Pathogenesis of Behçet's Syndrome: Genetic, Environmental and Immunological Factors. *Front Med (Lausanne).* 2021 Oct 8;8:713052. doi: 10.3389/fmed.2021.713052. PMID: 34692721; PMCID: PMC8531401.
12. KORSANTIA, N., KATSITADZE, A., KORSANTIA, N., BERIDZE, L., & KATSITADZE, T. (2023). PEMPHIGUS VULGARIS, CURRENT STATUS AND PROSPECTS. *Experimental and Clinical Medicine Georgia*, (3). <https://doi.org/10.52340/jecm.2023.03.14>

13. Nguyen A, Upadhyay S, Javaid MA, Qureshi AM, Haseeb S, Javed N, Cormier C, Farooq A, Sheikh AB. Behçet's Disease: An In-Depth Review about Pathogenesis, Gastrointestinal Manifestations, and Management. *Inflamm Intest Dis*. 2021 Nov 4;6(4):175-185. doi: 10.1159/000520696. PMID: 35083283; PMCID: PMC8740277.
14. Turk MA, Hayworth JL, Nevskaya T, Pope JE. Ocular manifestations of Behçet's disease in children and adults: a systematic review and meta-analysis. *Clin Exp Rheumatol*. 2021 Sep-Oct;39 Suppl 132(5):94-101. doi: 10.55563/clinexprheumatol/pt60bc. Epub 2021 Sep 17. PMID: 34596037.
15. KORSANTIA, N., KATSITADZE, A., TSISKARISHVILI, N., ADAMASHVILI, N., GOGINASHVILI, T., BIBICHADZE, M., ... KATSITADZE, T. (2024). FAMILY HERPESVIRIDAE – AN OVERVIEW. *Experimental and Clinical Medicine Georgia*, (1), 21–34. <https://doi.org/10.52340/jecm.2024.01.04>
16. Jorizzo JL, Abernethy JL, White WL, Mangelsdorf HC, Zouboulis CC, Sarica R, Gaffney K, Mat C, Yazici H, al Ialaan A. Mucocutaneous criteria for the diagnosis of Behçet's disease: an analysis of clinicopathologic data from multiple international centers. *J Am Acad Dermatol*. 1995 Jun;32(6):968-976.
17. Greco A, De Virgilio A, Ralli M, Ciofalo A, Mancini P, Attanasio G, de Vincentiis M, Lambiase A. Behçet's disease: New insights into pathophysiology, clinical features and treatment options. *Autoimmun Rev*. 2018 Jun;17(6):567-575. doi: 10.1016/j.autrev.2017.12.006. Epub 2018 Apr 6. PMID: 29631062.

ნატო კორსანტია ^{1,4}, ნინო კორსანტია ¹, თეა კაციტაძე ², ლელა ბერიძე ³, ალექსანდრე კაციტაძე ^{1,4},
ნინო ნიკურაძე ^{1,4}, თამარ გოგინაშვილი ⁴, მაკა ბიბიჩაძე ⁴

ბეჭეტის დაავადება/სინდრომი - კლინიკური შემთხვევა და ლიტერატურის მიმოხილვა

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ²მპს „ჯანმრთელობის ინსტიტუტი“, ³ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო; ⁴თსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია კლინიკური შემთხვევა - 35 წლის ქალი, ბეჭეტის დაავადებით. დიაგნოზი დადასტურდა კლინიკური სურათის და კრიტერიუმების საფუძველზე. სისტემური და ლოკალური კორტიკოსტეროიდების კურსის შემდეგ მიღწეულ იქნა რემისია. 1 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა რეციდივი. პაციენტი გაფრთხილებულია შესაძლო რეციდივზე და მიეცა რჩევა-დარიგება.

ბეჭეტის სინდრომი იშვიათი მრავალსისტემური ანთებითი დაავადებაა, რომელიც ხასიათდება პირის ღრუსა და სასქესო ორგანოებზე ლოკალიზებული წყლულებით, კანის სხვადასხვა დაზიანებებითა და თვალების ანომალიებით. შესაძლოა დაზინდეს დამატებითი სისტემები, მათ შორის სახსრები, სისხლძარღვები, ცენტრალური ნერვული სისტემა და/ან საჭმლის მომნელებელი ტრაქტი. ბეჭეტის სინდრომის ზუსტი მიზეზი უცნობია.



დავით გრიგოლია ¹, ნანა კიკალიშვილი ², კახა მოსიძე ¹, გელა მერაბიშვილი ¹,
რუსუდან ბერიაშვილი ¹

მეხის დაცვით სიკვდილის შემთხვევის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტი;

²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტი
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.05.14>

DAVID GRIGOLIA ¹, NANA KIKALISHVILI ², KAKHA MOSIDZE ¹, GELA MERABISHVILI ¹,
RUSUDAN BERIASHVILI ¹

FORENSIC MEDICAL EXAMINATION OF THE LIGHTNING DEATH CASE

¹Department of Forensic Medicine, Tbilisi State Medical University; ²Department of Pathological
Anatomy, Tbilisi State Medical University

SUMMARY

Each case of lightning death is of great importance for analysis of external and internal injuries on the body in combination with the results of microscopical examination of damaged tissues. The diagnosis of electrical injuries, including the lightning cases, must be based not only on the specific external findings but also of the histomorphological changes in the corresponding tissues that is particularly important in atypical electric injury cases when the typical external pattern of electricity application on the skin could not be observed and the microscopical findings in the damaged tissues must be predominately used for final diagnoses.

Keywords: lightning death, case, examination, forensic medicine

ბუნებრივი ელექტროდენის ზემოქმედებით, ანუ მეხის დაცვით სიკვდილი საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა საქართველოში. მსოფლიოში, სტატისტიკურად, მეხის დაცვით სიკვდილი არც თუ ისე იშვიათია და წელიწადში 24 000 შემთხვევას აღწევს, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად მეხის დაცვით სიკვდილის 30-მდე შემთხვევაა აღწერილი, მექსიკაში - 220-მდე, ხოლო ინდოეთში - 2500-მდე შემთხვევა [2,3,4,5]. ამიტომ მეხის დაცვით სიკვდილის თითოეული შემთხვევის განხილვა უაღრესად მნიშვნელოვანია გვამზე არსებული გარეგანი და შინაგანი ცვლილებებისა და დაზიანებული ქსოვილების მიკროსკოპული კვლევის შედეგების ანალიზისათვის, განსაკუთრებით, იშვიათი არატიპური ელექტროდაზიანებების შემთხვევებში [1].

საქმის გარემოება: 2022 წლის ივნისის თვეში საქართველოს მაღალმთიან რაიონში მთის საზაფხულო საძოვრების ტერიტორიაზე მეხის დაცვით გარდაიცვალა 65 წლის მამაკაცი. შინაგან საქმეთა სამინისტროში შესული შეტყობინების საფუძველზე დაწყებულ იქნა გამოძიება და დანიშნულ იქნა გვამის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

გამოყენებული მეთოდოლოგია: გვამის გარეგანი და შინაგანი გამოკვლევა მოხდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაში მიღებული სტანდარტული წესით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უკანონო, თვითნებური და გასამართლების გარეშე სიკვდილით დასჯის ეფექტური პრევენციისა და გამოძიების სახელმძღვანელოს ანუ „მინესოტას პროტოკოლის“ გვამის გამოკვლევის წესების შესაბამისად [6]. ჰისტომორფოლოგიური კვლევის მიზნით, გვამიდან აღებული მასალის ფიქსაცია მოხდა ფორმალინის 10%-იან ხსნარში და ჩაყალიბდა ჰარათინში; მასალა დაიჭრა როტაციულ მიკროტომზე 3-5 მკ სისქის ანათლებად; შეიღება ჰემატოქსილინ-ეოზინის რუტინული მეთოდით.

კვლევის შედეგები: გვამის გარეგნული დათვალიერებით, ყურადღებას იპყრობდა ტანსაცმლის არათანაბრად გამოხატული დამწვრობა: გვამს ეცვა მომწვანო რეზინისმაგვარი

ფაქტურის სანვიმარი, მოშავო რეზინის ჩექმები, მოშავო რეზინის მაგვარი წყალგაუმტარი შარვალი, მოშავო-მორუხო სპორტული ჟაკეტი ელვაშესაკრავზე, მოლურჯო ჯინსის შარვალი, მოშავო ჟილეტი ელვაშესაკრავზე, შინდისფერი გრძელსახელოებიანი მაისური, მოლურჯო მაისური, მოშავო ტრუსი. მოშავო ე.წ. „დუტი“ ჟილეტი, მოლურჯო მაისური და შინდისფერი გრძელსახელოებიანი მაისური დამწვარია სხეულის წინა ზედაპირის შესაბამისად, ასევე დამწვარია ტრუსი და, ნაწილობრივ, ჯინსის შარვლის შიგნითა ზედაპირი (სურ. 1, 2).



სურათი 1.



სურათი 2.

გვამზე გამოხატული იყო თმოვანი საფარის დამწვრობა-შეტრუსვა: წვერი სახეზე და თმა თავზე ალავ დამწვარია - შეტრუსულია მორუხო ფრად, ასევე ნაწილობრივ შეტრუსულია ბოქვენის თმაც. მარჯვენა ნესტოდან აღინიშნებოდა მონითალო ფერის სისხლისმაგვარი გამონადენი, რომლითაც მოსვრილი იყო სახის მიდამო (სურ. 2, 3, 4).



სურათი 3.



სურათი 4.

გვამზე გარეგნულად აღინიშნებოდა დაზიანებები: მუქი მონითალო, ალავ მოყავისფრო დამწვრობითი უბნები, ალავ ეპიდერმისის აშრევეებით და დამწვრობით; ასევე კანის დამწვრობა აღინიშნებოდა ორივე ყურის ნიჟარის უკანა ზედაპირზე, კისრის უკანა ზედაპირზე გადასვლით სამივე მესამედში, უპირატესად მარცხნივ, ნიკაპქვედა და ყბისქვედა მიდამოებში, კისრის სამივე მესამედში წინა და გვერდით ზედაპირებზე, გულმკერდის (კანის ნაჭერი ალებულ იქნა ჰისტოლოგიური გამოკვლევისთვის) და მუცლის სამივე მესამედის წინა ზედაპირებზე, ასევე ნაწილობრივ გვერდით ზედაპირებზე, ორივე ლავინზედა მიდამოში და მარცხენა დელტისებრ მიდამოში, მარცხნივ ბოქვენის და საზარდულის მიდამოებში, მარცხენა ბარძაყის სამივე მესამედის წინა ზედაპირზე, ნაწილობრივ შიგნითა ზედაპირზე, მარცხენა წვივის ზედა მესამედის წინა და გვერდით ზედაპირებზე - II-III ხარისხის დამწვრობითი უბნები, განლაგებული სხეულის დაახლოებით 20% ფართობზე (სურ. 2, 3, 4, 5, 6, 7).



სურათი 5.



სურათი 6.

გულმკერდის უკანა ზედაპირზე ზედა მესამედში ხერხემლის სვეტის საპროექციოდ და შუა და ქვედა მესამედებში აღინიშნება მონიტალო-მორუხო ფერის, ხის ტოტის ფორმის მაგვარი, არამკვეთრად გამოხატული დამწვრობითი უბანი, რომელიც ნაწილობრივ იმეორებს მეხის ფიგურას - ლიხტენბერგის ნიშანი (კანის ნაჭერი აღებულ იქნა ჰისტოლოგიური გამოკვლევისთვის) (სურ. 8).



სურათი 7.




სურათი 8.

გვამის მაკროსკოპული შინაგანი გამოკვლევით, გამოხატული იყო მეხის დაცემის მორფოლოგიური ნიშნები: ქალას სარქველის და ქალას ფუძის ძვლები მთელი იყო; ქალას ფუძის წინა ფოსოში, თვალბუდის ზედა კედელზე ორხმრივ აღინიშნებოდა მუქი მონიტალო ფერის მცირე ზომის სისხლჩაქცევის უბანი, ასეთივე ხასიათის სისხლჩაქცევის უბანი აღინიშნებოდა საფეთქლის ძვლის პირამიდულ ნაწილში ორხმრივ; ორივე ფილტვში განაკვეთის ზედაპირზე დიფუზურად აღინიშნებოდა კეროვანი და მსხვილკეროვანი მუქი მონიტალო ფერის სისხლჩაქცევები, ფილტვის განაკვეთის ზედაპირზე ზეწოლისას გადმოედინებოდა ქაფნარევი მოვარდისფრო-მონიტალო სითხე ჭარბი ოდენობით; ფილტვის მთარავი პლევრის ქვეშ, უპირატესად წილთაშუა და ღიაფრამულ ზედაპირებზე აღინიშნებოდა მუქი მონიტალო ფერის წერტილოვანი და კეროვანი სისხლჩაქცევები; ღვიძლის მარჯვენა წილის ვისცერულ ზედაპირზე აღინიშნებოდა მუქი მონიტალო ფერის სუბკაფსულური კეროვანი სისხლჩაქცევა.

გვამის გამოკვლევისას აღებული შინაგანი ორგანოების ნაჭრების ჰისტო-მორფოლოგიური შესწავლით გამოხატული იყო თავის ტვინის და ფილტვების შეშუპება; მნიშვნელოვანი სადიგნოსტიკო მიკროსკოპული ცვლილებები გამოხატული იყო გულმკერდის უკანა ზედაპირზე

არსებულ (სურ. 8) ხის ტოტის ფორმის მაგვარ, არამკვეთრად გამოხატული მცხის ფიგურის დამწვრობით უბანში: კანში აღინიშნებოდა ეპიდერმისის და დერმის კეროვანი კოაგულაციური ნეკროზი, ეპიდერმისის ეპითელიოციტების ბირთვების და დერმის დერილების დეფორმაცია სპეციფიური დერილისებრი სტრუქტურების ფორმირებით (სურ. a, b), ეპიდერმისის და რქოვანა შრის ფოკალური აშრევება სპეციფიური მარყუჟისებრი წარმონაქმნების ჩამოყალიბებით (სურ. b, e), ალავ აშრევებულ სტრუქტურებში მკირე რაოდენობით ერითროციტების (სურ. d), მოყავისფრო ლიზირებული მასებისა და შავი ფერის ნაწილაკების არსებობით (სურ. a, b, c); ასევე გამოვლინდა დერმის ბოჭკოების ფოკალური ფრაგმენტაცია, კანის დანამატების (თმის ფოლიკულების, ქონის ჯირკვლების, საოთლე ჯირკვლების გამომტანი სადინრების) ბირთვებისა და ნერვული ბოჭკოების გამოხატული დეფორმაცია (სურ. a, e, f); ალავ აღინიშნებოდა დერმის და ღრმად მდებარე რბილი ქსოვილების სისხლძარღვთა ჰიპერემია ფოკალური ერითროლიაპედებითა და წვრილკეროვანი სისხლჩაქცევებით (სურ. d).



სურათები a, b, c, d, e, f : ჰისტომორფოლოგიური ცვლილებები კანის დაზიანებულ უბანში

კვლევის შედეგების ანალიზი და დასკვნა: კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მეხის დაცემისას სხეულზე ატმოსფერული ელექტროდენის ზემოქმედების ადგილზე კანზე არსებული მაკროსკოპული სპეციფიკური დაზიანებების - თმოვანი საფარის დამწვრობა-შეტრუსვა, მუქი მონითალო, ალაც მოყავისფრო დამწვრობითი უბნები, მონითალო-მორუხო ფერის ხის ტოტის ფორმის, არამკვეთრად გამოხატული დამწვრობითი უბანი - გარდა შინაგან ორგანოებში ვითარდება სხვადასხვა ზომის სისხლჩაქცევები და შინაგანი ორგანოების შეშუპება, რაც მეხის დაცემისათვის არასპეციფიკურ დაზიანებებს წარმოადგენს და დიაგნოზის დასმისას მხოლოდ საორიენტაციო მნიშვნელობის შეიძლება იყოს.

ელექტროდენის ზემოქმედების ადგილის შესაბამისად კანის ქსოვილში ვითარდება მიკროსკოპული დაზიანებები - ეპიდერმისის და დერმის კეროვანი კოაგულაციური ნეკროზი, ეპიდერმისის ეპითელიოციტების ბირთვების და დერმის დვრილების დეფორმაცია სპეციფიკური დვრილისებრი სტრუქტურების ფორმირებით, ეპიდერმისის და რქოვანა შრის ფოკალური აშრევაბა სპეციფიკური მარყუჟისებრი წარმონაქმნების ჩამოყალიბებით, ალაც აშრევებულ სტრუქტურებში მცირე რაოდენობით ერთროციტების, მოყავისფრო ლიზირებული მასებისა და შავი ფერის ნაწილაკების არსებობით; დერმის ბოჭკოების ფოკალური ფრაგმენტაცია, კანის დანამატების ბირთვებისა და ნერვული ბოჭკოების გამოხატული დეფორმაცია, ალაც დერმის და ღრმად მდებარე რბილი ქსოვილების სისხლძარღვთა ჰიპერემია ფოკალური ერთროლიაპედებიტა და წვრილკეროვანი სისხლჩაქცევებით, რაც ქსოვილზე ელექტროდენის ზემოქმედებისათვის დამახასიათებელ სურათს ქმნის. შესაბამისად, აღნიშნული შემთხვევის დიაგნოზი დაემყარა ზემოაღწერილ სპეციფიკურ გარეგნულ და დამახასიათებელ ჰისტომორფოლოგიურ ნიშნებს, შინაგანი ორგანოების არასპეციფიკურ დაზიანებებთან კოპლექსში.

ყოველივე ზემოაღწერილიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ელექტროდენის, მათ შორის, ატმოსფერული ელექტროდენის ზემოქმედებისას დიაგნოზი დამყარებული უნდა იყოს არამხოლოდ სპეციფიკურ გარეგნულ დაზიანებებზე, არამედ ქსოვილებში ნანახ ჰისტომორფოლოგიურ ცვლილებებზეც, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა არატიპიური ელექტროტრავმების დროს, როდესაც კანზე გარეგნულად ელექტროდენის ზემოქმედების ტიპური კვალი - ელექტრონიზა ან ლიხტენბერგის ნიშანი არ აღინიშნება და ქსოვილების მიკროსკოპული დაზიანებები დიაგნოზის დასმისას წამყვანი მნიშვნელობის უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კილასონია ბ.: სასამართლო მედიცინა, თბილისი, 2020წ. გვ.190-194
2. Holle RL: The Number of Documented Global Lightning Fatalities. 24th International Lightning Detection Conference and 6th International Lightning Meteorology Conference. San Diego, California, USA. 2016. <https://www.vaisala.com/sites/default/files/documents/Ron%20Holle.%20Number%20of%20Documented%20Global%20Lightning%20Fatalities.pdf>
3. How Dangerous is Lightning? National Weather Service. National Oceanic and Atmospheric Administration. 2019. <https://www.weather.gov/safety/lightning-odds>
4. Lakhani N. Deadly lightning strike in Mexico reveals plight of poorest citizens. <https://www.theguardian.com/world/2015/jul/31/deadly-lightning-mexico-government-failure>
5. Lightning Strike Victim Data. CDC Lightning. April 2024. <https://www.cdc.gov/lightning/data-research/index.html>
6. The Minnesota Protocol on the Investigation of Potentially Inlawful Death (2016). The Revised United Nations Manual on the Effective Prevention and Investigation of Extra-legal, Arbitrary and Summary Executions. UNOHCHR, 2017, pp. 38-48. www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Publications/MinnesotaProtocol.pdf

დავით გრიგოლია ¹, ნანა კიკალიძილი ², კახა მოსიძე ¹, გელა მერაბიშვილი ¹,
რუსუდან ბერიაშვილი ¹

მეხის დაცემით სიკვდილის შემთხვევის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა

